ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 14 თებერვალი, 2020 №37 (8301) ფასი: 60 თეთრი

## პროკურატურა ნიკა მელიასთვის 7-დან 10 წლამდე პატიმრობას ითხოვს



გვ.5

11 თებერვლიდან

კორნელი ბოროზდინი

სამეგრელო და სვანეთი

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი



# ხატია დეკანოიძე: „ივანიშვილი პოლიტპატიმრებს თუ გამოუშვებს, დიალოგს დავუბრუნდებით“



გვ.2

„ჩვენმა პარტნიორებმა იციან, რომ ივანიშვილმა პოლიტიკური სასამართლოს მეშვეობით რეპრესიები დაიწყო“

## „ეს „ოცნების“ სრული კრახია“

ევროპარლამენტმა „ოცნების“ მომზადებული განცხადება ჩააგდო



გვ.2

## „რატომ არ დევნის „ოცნება“ გახარიასა და ფარცხალაძეს?“

არჩილ გამზარდია: „ხელისუფლება თავის მომხრეებს არაფერს ერჩის, მხოლოდ მოწინააღმდეგეებს დევნის“



გვ.3

## მურმან დუმბაძე ბიძინა ივანიშვილს ოპოზიციაში ეპატიჟება



გვ.3

„თუ მოვა ოპოზიციის მრგვალ მაგიდასთან და იტყვის, ვიქნები ერთი წევრი ერთი ხმით, მაშინ მივიღებთ“

## დავით ლორთქიფანიძე: „ოპოზიცია არჩევნებისთვის მზად არ არის“

„ოპოზიციამ დააანონსა 4 აპრილი, შემდეგ იქნება 5 მაისის აქცია, 6 ივნისის, 7 ივლისის, 8 აგვისტოს, 9 სექტემბრის, 10 ოქტომბრის აქცია და მერე მივალთ არჩევნებზე“



გვ.4



გვ.3

## გომელაური ისრაელის სახელმწიფოს ელჩს შეხვდა



გვ.4

## გოჩა თევდორაძე: „ოცნებას“ 135-15-ზე ვარიანტს ვთავაზობთ“

ISSN 1987-9385

2 თამარ ჩუგოშვილი: „საარჩევნო სისტემის შეცვლის არანაირი მზაობა არ არსებობს“

2 მარიკა ბალდავაძე გარდაიცვალა
„წლების განმავლობაში ლოგინად ჩავარდნილს ერთხელაც არ დასცდენია საყვედური“

5 უგულავასთან ერთად დასაპატიმრებელი 4 პირი საქართველოდან გაიქცა
შსს-მ მათ მიმართ ძებნა გამოაცხადა

6 ერდოღანი რუსეთს ბრალს სდებს

# ხატია დეკანოიძე: „ივანიშვილი პოლიტპატიმრებს თუ გამოუშვებს, დიალოგს დავუბრუნდებით“

## „ჩვენმა პარტნიორებმა იციან, რომ ივანიშვილმა პოლიტიკური სასამართლოს მეშვეობით რეპრესიები დაიწყო“

იაგო ნაცვლიშვილი



ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტმა კენჭისყრაზე ჩააგდო დოკუმენტი, რომელიც მოიცავდა ერთობლივ განცხადებასა და რეკომენდაციებს ასოცირების შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით. ევროპარლამენტარებს სურდათ საბოლოო დეკლარაციის დოკუმენტში შესწორებების შეტანა გიგი უგულავას საკითხზე, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით და ა.შ., რასაც „ქართული ოცნება“ არ დაეთანხმა და მხარი არ დაუჭირა.

შესწორებების გარეშე დარჩენილი ტექსტით უკმაყოფილო დარჩა ევროპარლამენტის წარმომადგენლობა და მას მხარი არ დაუჭირა. საბოლოო ჯამში, მისი მიღება ვერ მოხერხდა. მსგავსი შემთხვევა მხოლოდ ერთხელ დაფიქსირდა.

იქამდე ევროპარლამენტის საგარეო კომიტეტის რამდენიმე წევრმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო საქართველოს ვალდებულებაა ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში. აქვე აღნიშნულია, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ოპოზიციონერ გიგი უგულავასთან დაკავშირებით ბევრ შეკითხვას აჩენს. ამასთანავე, გაისმა მოწოდება დიალოგისკენაც.

რა შემთხვევაში შეიძლება დაუბრუნდეს ოპოზიცია დიალოგს და ხომ არ ემუქრება საფრთხე ასოცირების ხელშეკრულებას? – აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **ხატია დეკანოიძე** პასუხობს.

***– ცნობილი გახდა, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკის გამო ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ დოკუმენტი ჩავარდა. ეს შემთხვევა პირველად დაფიქსირდა. „ოცნება“ არ დაეთანხმა საკითხების ნუსხაში უგულავას საკითხის შეტანას და ჩავარდა. როგორია თქვენი პირველადი შეფასება ამ თემაზე?***

– ისტორიული პრეცედენტია იმდენად, რამდენადაც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები ნამდვილად ფლობენ სრულ ინფორმაციას, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით, რომ საქართველოში არსებობს პოლიტიკური სასამართლო და ზოგადად პოლიტიკური მართლმსაჯულება. საქართველოში სასამართლო გამოიყენება პოლიტიკურ იარაღად, ამიტომ ამ კუთხით ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა, რომ ბოლომდე გამოიყენოს ეს და ინკვიზიციური რეპრესიული მექანიზმები აამოქმედოს.

ამ მოცემულობაში საკითხი ასე დგას: „ქართული ოცნება“, რომელიც ჩვეულებრივად რუსული ინტერესების გამტარებელია და მეორე მხარეს დგანან საქართველოს მოქალაქეები, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები, პროდასავლური ოპოზიცია, თავისუფალი მედია... ყველა, ვინც ფიქრობს იმას, რომ ბიძინა ივანიშვილმა უნდა დათმოს ძალაუფლება. ამიტომ მე ასე შევაფასებდი ამ ფაქტს, რომ გიგი უგულავას დაჭერა ნამდვილად გარდამტეხი იყო ამ მიმართულებით.

***– ანუ იმას ამბობთ, რომ „ქართული ოცნება“ დეკლარირებულად დაადგა უკვე რუსულ გზას და მთლიანად პრორუსული ორიენტაციის გახდა?***

– „ქართული ოცნება“ დეკლარირებულად ატარებს რუსულ ინტერესებსა და რუსულ მეთო-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# „ეს „ოცნების“ სრული კრახია“

## ევროპარლამენტმა „ოცნების“ მომზადებული განცხადება ჩააგდო

გუშინ, 13 თებერვალს, ევროპარლამენტმა „ოცნების“ მომზადებული განცხადების პროექტი ჩააგდო.

ამ მოვლენას „ევროპული საქართველოს“ წევრი ოთარ კახიძე ფეისბუქში გამოეხმაურა.

„ევროპარლამენტში ასოცირების კომიტეტის ძალიან მნიშვნელოვანი სხდომა გაიმართა. ასოცირების შეთანხმების ფარგლებში არსებობს კომიტეტი, სადაც ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის წევრები არიან წარმოდგენილი. სხდომები იმართება და მიმდინარეობს შეფასება, როგორ მიდის ასოცირების შეთანხმების პუნქტების შესრულება, შემდეგ ხდება დეკლარაციის ტექსტის მიღება.

დეკლარაციის ტექსტის მისაღებად საჭიროა ევროპარლამენტის წარმომადგენლობის უმრავლესობისა და საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის მხარდაჭერა, რის შემდეგაც ხდება მისი მიღება.

„ქართულმა ოცნებამ“ შეიმუშავა ტექსტი, რომელიც იყო, ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით, ძალიან უცნაური. საუბარი იყო პროგრესზე და იმაზე, რომ მთლიანობაში ყველაფერი არის კარგად და მხოლოდ უმნიშვნელო გამოწვევებია თურმე.

ამას მოჰყვა ჩვენი მხრიდან კრიტიკა. მე და სალომე სამადაშვილი ვართ ოპოზიციიდან წარმოდგენილი ამ კომიტეტში. მოვამზადეთ ცვლილებების პროექტი. ასეთი პროცედურაა და შემდეგ ამ ცვლილებას ეყრება კენჭი.

კენჭისყრა არის ორმხრივი, ჯერ ევროპარლამენტარების უმრავლესობამ უნდა განიხილოს და კენჭი უყაროს და შემდეგ საქართველოს პარლამენტარების უმრავლესობამ და ორივემ უნდა დაუჭიროს მხარი, რომ ცვლილება გავიდეს.



ჩვენი ცვლილებები ეხებოდა პოლიტიკურ დევნას, გიგი უგულავას ბოლოდროინდელ საქმეს, მედიის მფლობელების წინააღმდეგ მიმდინარე საქმეებს, ასევე იყო 20 ივნისის ამბები, ძალის გამოყენება პოლიციის მხრიდან, სასამართლოში მიმდინარე პროცესები და ყველა ეს ცვლილება გავიტანეთ.

მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ევროპარლამენტარებმა მხარი დაუჭირეს ჩვენს ყველა ცვლილებას. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ჩააგდო ჩვენი ცვლილებების პროექტი და შემდგომ დააყენეს თავიანთი ცვლილებები და მათ მიერ დაყენებულ ყველა ცვლილებას უპასუხა უარით ევროპარლამენტარმა.

მათ არც ერთს არ დაუჭირეს მხარი და შემდეგ დადგა ყველაზე საინტერესო მომენტი, როდესაც ევროპარლამენტარების მიერ დაყენებული ცვლილებების განხილვა დაიწყო. ევროპარლამენტარები სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფიდან იყვნენ წარმოდგენილნი ამ კომიტეტში და ყველა ცვლილება ჩაუგდეს მათ.

ამის შემდეგ დადგა საბოლოო ცვლილების დროც და საბოლოო ტექსტზე ევროპარლამენტმა უთხრა უარი, რაც უპრეცედენტო ამბავია.

ეს არის ჩვენი დიდი გამარჯვება. ეს არის სრული კრახი „ქართული ოცნების“. უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ქართული ოცნება“ წარმოდგენილი იყო დელეგაციის გარდა პარტიის „ლიდერშიფით“. ირაკლი კობახიძე და კახა კალაძე მართავდნენ გუშინ შეხვედრებს და ამბობდნენ, რომ ევროპარლამენტარები რაღაცაში დაარწმუნეს, რაშიც დაარწმუნეს, ვნახეთ. ივანიშვილისთვის ეს არის კიდევ ერთი გაფრთხილება. ეს ადამიანი მიდის საერთაშორისო იზოლაციისკენ“, – დაწერა ფეისბუქში ოთარ კახიძემ.

# მარიკა ბაღდავაძე გარდაიცვალა

## „წლების განმავლობაში ლოგინად ჩავარდნილს ერთხელაც არ დასცდენია საყვედური“

გარდაიცვალა მარიკა ბაღდავაძე. ამის შესახებ ფეისბუქში გოგი ლორთქიფანიძემ დაწერა:

„გარდაიცვალა გამორჩეული ქართველი დისიდენტი, ყოფილი პოლიტპატიმარი, სახალხო პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, ქ-ნი მარიამ (მარიკა) ბაღდავაძე.

მარიკა ბაღდავაძემ განვლო ძლიერი, უკომპრომისო და სამართლიანი ქალის უჩვეულო ცხოვრება. იგი 1978 წლის 14 აპრილიდან იყო ჩართული ქართულ დისიდენტურ მოძრაობაში და მის თანამებრძოლებთან ერთად უდიდესი როლი შეასრულა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებასა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში.



იგი იყო არაერთი გახმაურებული აქციის ორგანიზატორი და თანამონაწილე, მათ შორის ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისთვის ყველაზე გარდამტეხის – 1981 წლის მცხეთის აქცია, 1983 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის საწინააღმდეგო მანიფესტაცია, 1988 წლის ნოემბრის შიმშილობა, 1989 წლის 9 აპრილი და სხვ. რის გამოც ორჯერ იყო გასამართლებული რეჟიმის მიერ. საპატიმროებშიც განსაკუთრებული შევიწროების პირობებში უწევდა ყოფნა.

მარიკა ბაღდავაძე გამოირჩეოდა უდიდესი პრინციპულობითა და შეუვალობით, რაც მის მოწინააღმდეგეებშიც კი პატივისცემას იწვევდა და მის სიტყვას საზოგადოებისა და ხელისუფლების ყველა ფენაში ანგარიშს უწევდნენ.

მან უდიდესი როლი ითამაშა საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის განვითარების საქმეშიც, ის გახდა პატიმრების და უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანების ქომაგი და იმედი. დიდი როლი შეასრულა საქართველოში ომბუდსმენის ინსტიტუტის დამკვიდრებაში – იყო მისი ერთ-ერთი პირველი ხელმძღვანელთაგანი.

სამწუხაროდ, მას არ მიეცა საშუალება, დამოუკიდებელ საქართველოში სრულად გამოევლინა თავისი შესაძლებლობები. რეპრესიებმაც თავისი დაღი დაასვა მის ჯანმრთელობას, მაგრამ წლების განმავლობაში ლოგინად ჩავარდნილს ერთხელაც არ დასცდენია საყვედური, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი და საქართველოს ეკლესიის ერთგული შვილი, სიყვარულს, სითბოსა და იმედს აძლევდა მის გვერდით მყოფთ.

ერთგული თანამებრძოლი, მოსიყვარულე მეუღლე და ოთხი ვაჟკაცის დედა, საქართველოს სიყვარულს შეწირული ქალბატონი, პრინციპულობისა და შეუვალობის სიმბოლო – ასეთი იყო ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე მარიამ (მარიკა) ბაღდავაძე.

ღმერთმა დაამკვიდროს მისი კეთილი სული, სადაც მართალნი განისვენებენ!“

## ნინო ზურიაშვილი: „რუსთავი 2“-მა ჩვენი ფილმი ივანიშვილის ქონების შესახებ დაბლოკა“

რადიო თავისუფლების ჟურნალისტური გამოძიების სერია „რუსთავი 2“-ზე ყოველ შაბათს გადიოდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ჟურნალისტებმა ტელევიზიას მიაწოდეს ახალი გადაცემის ანონსი, სადაც საუბარი იყო ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ივანიშვილის გაზრდილ ქონებაზე, ფილმი არხმა ეთერში არ გაუშვა და მონიტორს ხელშეკრულება გაუუქმა.

ამის შესახებ სტუდია მონიტორის ხელმძღვანელმა ჟურნალისტმა ნინო ზურიაშვილმა ისაუბრა.

– ჩვენ ვნახეთ, რომ ის (ივანიშვილი) საქართველოში მუშაობს, როგორც ბიზნესმენი 13 ოფშორული კომპანიით, რომელთაც დაფუძნებული აქვთ 100-ზე მეტი ზოგი ოფშორული, ზოგი ქართული კომპანია, ამ კომპანიებით ის იძენს ქონებას, ის აშენებს თავის ბიზნესს და აკნინებს სახელმწიფო ინსტიტუტებს, იმით, რომ ხშირად მათ მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს აღებინებს, მისი მესიჯი, რომ ის საქართველოში ბიზნესს აკეთებს მხოლოდ პატრიოტული მიზნებით და არანაირი მოგებებით, არ შეესაბამება სიმართლეს, – განაცხადა ნინო ზურიაშვილმა.

გუშინ, 13 თებერვალს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა თავის პირად ვებგვერდზე განცხადება გაავრცელა, სადაც მან უარყო „სტუდია მონიტორის“ ჟურნალისტების ბრალდება, რომ ტელეკომპანიამ საგამოძიებო ფილმის ეთერში გაშვებაზე უარი შინაარსის გამო თქვა.

„რუსთავი 2“-ის განცხადებით, გავრცელებული ინფორმაცია და შეფასებები ეფუძნება ფაქტებით მანიპულირებას, ემსახურება „რუსთავი 2“-ის რეპუტაციის დაზიანებას.

– პროექტი დასრულდა არა საგამოძიებო მასალის შინაარსის გამო, არამედ ხელშეკრულების მიხედვით, ყველა წესის დაცვით, – აცხადებენ „რუსთავი 2“-ში.

## თამარ ჩუგოშვილი: „საარჩევნო სისტემის შეცვლის არანაირი მზაობა არ არსებობს“

– ჩემი დაკვირვებით, საარჩევნო სისტემის შეცვლის არანაირი მზაობა არ არსებობს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს დამოუკიდებელმა დეპუტატმა თამარ ჩუგოშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, ყველა ნიშანია იმისა, რომ ხელისუფლება არ აპირებს რეალურად რამე ქმედითი ნაბიჯის გადადგმას საარჩევნო სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით.

– უგულავასთან დაკავშირებული მოვლენებიც, ჩემი აზრით, სწორედ ამას მოწმობს. პრინციპში, ალბათ უკვე გვაქვს ის რეალობა, რომ არჩევნები ჩატარდება დღეს მოქმედი სისტემით, 73/77. რაც შეეხება 100/50-ის შემოთავაზებას, ეს არის ძალიან მცირედი კომპრომისი. ისიც მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს იქნება ერთჯერადად და თუ ამ ნორმის მოქმედება არ გასცდება 2020 წლის არჩევნებს. ჩვენ ვიცით, რომ ხელისუფლებამ სხვა ვერსია შემოგვთავაზა და შემოგვთავაზა ის, რომ 2024 წლამდე მოქმედებდეს 100/50-ზე, რაც, ჩემი აზრით, გაუარესება იქნება იმ ჩანაწერისა, რაც კონსტიტუციაში გვაქვს, – განაცხადა ჩუგოშვილმა.

## ევროპარლამენტარი რასა იუკნევიჩიანე: „ივანიშვილი საქართველოს ევროპულ კურსს აზიანებს“

ევროპარლამენტარმა რასა იუკნევიჩიანემ ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების კომიტეტის რეზოლუციის პროექტს ძალიან სუსტი უწოდა.

მან თქვა, რომ ის არ ასახავდა არსებულ ვითარებას. იუკნევიჩიანემ დაბალანსებული ტექსტის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

– ჩვენ წარმოვადგინეთ ცვლილებები და გვსურდა დაბალანსებული ტექსტი. უმრავლესობის წევრებმა თითქმის ყველა ცვლილება ჩააგდეს. ძალიან გაბრაზებული ვარ. ამდენი შეხვედრა და კონსულტაცია გავმართეთ და მგონი, ვერაფერი გაიგეს. ახლა „ქართულმა ოცნებამ“ კარგად უნდა გააანალიზოს არსებული სიტუაცია და შეცვალოს გარკვეული პოზიციები. ჩემი გზავნილია ბიძინა ივანიშვილის მიმართ, რომ ის არის სიტუაციაზე პასუხისმგებელი და სამწუხაროდ, ის აზიანებს საქართველოს ევროპულ კურსს, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაგიდასთან მყოფი „ქართული ოცნების“ დეპუტატები საქართველოს ევროპული გზის წინააღმდეგ არ არიან. მათ პარტიაში კარგად უნდა იმსჯელონ, – განუცხადა ევროპარლამენტარმა ჟურნალისტებს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „რატომ არ დევნის „ოცნება“ გახარიასა და ფარცხალაძეს?“

## არჩილ გამზარდია: „ხელისუფლება თავის მომხრეებს არაფერს ერჩის, მხოლოდ მოწინააღმდეგეებს დევნის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი **არჩილ გამზარდია** პასუხობს.

***— ირაკლი სესიაშვილის ახალ კანონპროექტს ინტერნეტპროვაიდერებთან დაკავშირებით დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. რას იტყვით?***

— ჩვენი ხელისუფლება იმდენად დიდი უნდობლობით სარგებლობს, რომ ნებისმიერი ინიციატივა ჩვენთვის არის ხოლმე საგანგაშო და ხშირ შემთხვევაში — მიუღებელიც. კიბერუსაფრთხოების თემა დღეს მთელ მსოფლიოში დგას და ეს პროცესი აქაც უნდა დაიწყოს. ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში, ძალიან ძნელია საუბარი, სანამ ტექნოლოგების მოსაზრებები არ იქნება წარმოდგენილი.

ამას უნდა მოჰყვეს ჩვენი პოლიტიკური შეფასებები.

***— რამდენად ეწინააღმდეგება კონსტიტუციას მსგავსი კანონპროექტი? ასეთი განცხადებებიც მოვისმინეთ უკვე.***

— მე არ გამიკვირდება ხელისუფლებისგან ნებისმიერი კანონისა და კონსტიტუციის თავზე გადავლა. ჯერ ტექნოლოგებმა თქვან თავიანთი სიტყვა და შემდეგ დავდებთ უფრო დამაჯერებელ დასკვნებს ჩვენ, პოლიტოლოგები.

***— აქტიურად ისმის კითხვა, გვყავს თუ არა ქვეყანაში პოლიტპატიმრები. უგულავას დაკავებამ უფრო გაამწვავა ეს თემა, პროკურატურა ნიკა მელიასთვის 7-დან 10 წლამდე პატიმრობას ითხოვს. რას იტყვით თქვენ?***

— პოლიტიკური პატიმარი შეიძლება იყოს დამნაშავე სუბიექტიც, რომლის დამნაშავეობაც პოლიტიკური მოტივებით გახდა მნიშვნელოვანი. აი, ეს არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ზუსტად ევროსაბჭოს განმარტებაშია წარმოდგენილი.



მთელი რიგი საქმეები საქართველოში ახლა სწორედ პოლიტიკური მოტივებით არის ნაწარმოები. იმავე უგულავამ გამოიყენა თუ არა იმ რაოდენობის თანხა იმ ფორმით, როგორც არის ჩაწერილი განაჩენში, რა დრო ეკუთვნოდა სასჯელის კუთხით, ეს ერთი თემაა, მაგრამ მეორე ის არის, რომ უგულავა, რურუა, ოქრუაშვილი, აგერ უკვე ხაზარაძე, ჯაფარიძე, გვარამია, მელია და ასე შემდეგ სახელმწიფოს მიერ კონკრეტული პოლიტიკური მოტივებით იდევნებიან.

***— ანუ ეს არის პოლიტიკური დევნა?***

— დიახ, რადგან ყველა შემთხვევაში ფაქტია, რომ საქმეები არის ან რაღაცა პროცედურების დარღვევით, ან კონკრეტული ხელოვნური მოტივაციით, ან როდინდელი საქმეებია წამოწეული ხაზარაძე-ჯაფარიძის შემთხვევაში. შესაბამისად, ჩვენ აქ ვხედავთ ყველა ნაბიჯზე ხელისუფლების მხრიდან სამართალდევნის პოლიტიკურ მოტივებს.

ამავე დროს, საქმეები არ არის წამოწეული „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნების შემთხვევაში.

***— რომელ მაღალჩინოსნებს გულისხმობთ?***

— თუნდაც იმავე ფარცხალაძის ქეისი, იმავე გახარიას ქეისი და კიდევ ბევრი სხვა დანარჩენი, რომელიც პირდაპირ ფაქტობრივი, ვიდეომოცემულობის კუთხითაც კი არის მტკიცებულებების დონეზე წარმოდგენილი და სასამართლო პროცესიც კი არ არის რთული.

***— უგულავას საქმეზე ფაქტების დამდგენი კომისია ჩამოვა ევროპარლამენტიდან. რატომ შედის ხელისუფლების ინტერესებში მისი ჩამოსვლა?***

— ეს ყველაფერი აწყობს ხელისუფლებას. ჯერ ერთი, მსგავსი დელეგაციების ფორმალური შესაძლებლობები საკმაოდ ფრთხილია. ხელისუფლებამ ეს იცის და ეს რიტორიკული მოწვევაა. სანამ ეს ყველაფერი დადგინდება, სანამ ჯგუფი შეიქმნება, სანამ ჩამოვა, შეისწავლის, თვეები გავა და ამასობაში შეიძლება არჩევნებიც ჩატარებული იყოს.

ამ დროს, როდესაც რაღაცის შესწავლა ხდება ხოლმე, როგორც წესი, პოზიციები რამდენადმე დაპაუზებულია. სანამ საბოლოო დასკვნა არ გამზადდება, ნაკლებად გამოხატავენ საკუთარ პოზიციას. ამიტომ ხელისუფლება ცდილობს, ამ იმიჯმეიკინგის ნაწილში თავი უვნებლად წარმოადგინოს.

მეორე მხრივ, რიტუალურს ხდიან ამ ყველაფერს, რადგან ეს მარტივი არ არის და მესამე, ეს ხდება პროცედურების გამო, დროის მოგების მიზნით.

***— ანუ ისევ ხელისუფლება დარჩება მოგებული?***

— სავარაუდოდ, რადგან იმდენი პროცედურაა, რომ, სხვა თუ არაფერი, დროში მოიგებენ. თუ სახელმწიფო გამჭვირვალედ მოქმედებს, ასეთი ჯგუფების შექმნის საჭიროება ნაკლებად არის ხოლმე.

უკვე ყოვლისმომცველი გახდა კრიტიკა ჩვენი პარტნიორების მხრიდან. პერსონალურიდან უკვე უწყებრივ განცხადებებზე გადავიდნენ ევროსაბჭო, კონგრესი, სენატი და ასე შემდეგ. ამიტომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რაღაცაში დრო მოიგოს.

ცდილობენ, სიტუაცია სათავისოდ მოატრიალონ. მათ აქვთ მოკლევადიანი ამოცანა, რომ 2020 წლის არჩევნებამდე კიდევ რაღაც მნიშვნელოვანი ძვრები არ მოხდეს და 2020 წელი „ქართულმა ოცნებამ“, როგორც ჩაფიქრებული აქვს, ისე გაიტანოს და ამ საარჩევნო სისტემით საკუთარი თავი კვლავ ხელისუფლებაში დატოვოს.

***— არჩევნების თემას შევეხეთ და რა მოლოდინები გაქვთ?***

— არჩევნების მიმართ დიდად ოპტიმისტური განწყობა არ მაქვს, იმიტომ რომ, საარჩევნო სისტემა ისეა მოწყობილი, „ოცნებას“ დიდ გარანტიებს აძლევს. თუ სერიოზული ცვლილებები არ მოხდა ამ თვეების განმავლობაში, მაინცდამაინც იმედიანი მოლოდინი, რომ ხელისუფლება ან შეიცვლება, ან შემცირდება ავტორიტარიზმისა და ერთმმართველობის მაჩვენებელი, არ მაქვს.

თუ ეს მოცემულობა არ შეიცვალა, მაშინ ხელისუფლება საპარლამენტო უმრავლესობას მთელი რიგი მაქინაციების შედეგად ისევ მიიღებს.

# გომელაური ისრაელის სახელმწიფოს ელჩს შეხვდა



შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს ახალდანიშნულ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ რან გიდორს შეხვდა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს. ვახტანგ გომელაურმა ელჩთან საუბრისას ორმხრივ ფორმატში საპოლიციო საკითხებზე ინფორმაციის გაცვლის, 2013 წელს ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის სამომავლო შეხვედრების გამართვისა და კონკრეტული მიმართულებებით გამოცდილების გაზიარების სურვილი გამოთქვა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა სამართალდაცვით სფეროში არსებული თანამშრომლობის გაღრმავებისა და სამინისტროს შესაძლებლობების განვითარების კუთხით სამომავლო თანამშრომლობაზე ისაუბრეს.

# ხატია დეკანოიძე: „ივანიშვილი პოლიტპატიმრებს თუ გამოუშვებს, დიალოგს დავუბრუნდებით“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

დოლოგიას და ამ მეთოდებით ებრძვის ყველას, ვინც „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგია.

***— უკვე მელიას საქმეზეც ალაპარაკდნენ. ფიქრობთ, რომ შემდეგი მელია იქნება და პოლიტიკურ დაჭერებს ხომ არ ელით?***

— მე მსგავსი პროგნოზების გაკეთება ყოველთვის მიჭირს ხოლმე, იქიდან გამომდინარე, რომ ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილის აზროვნებაში ზოგადად რაციონალური მმართველი არ არსებობს. ამის მიმანიშნებელია ეს პოლიტიკური რეპრესიები, ამიტომ, ჩემი აზრით, ის შეეცდება, მოასუფთაოს თავისუფალი ველი და ყველა დაგვიჭიროს, მაგრამ ეს ხომ არაფერს ცვლის.

ახლა რამდენი უნდა ჩაგვსვას ციხეში, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეებმა წინააღმდეგობა შეწყვიტონ?! ამიტომ, ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილი თავისთვის ძალიან მძიმე გადაწყვეტილებებს იღებს.

***— მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილსა და მთლიანად ხელისუფლებას მწვავედ აკრიტიკებს დასავლეთი, მაინც ისმის მოწოდება ოპოზიციის მისამართითაც, რომ დაბრუნდეს დიალოგი. ეს გაისმა ევროპარლამენტიდანაც. თუ არის ამის პერსპექტივა და რა შემთხვევაში შეიძლება, დაუბრუნდეთ დიალოგს?***

— გიგი უგულავას დაჭერითა და პოლიტიკური მართლმსაჯულების გამოყენებით ბიძინა ივანიშვილმა მოკლა დიალოგი. თუ გაათავისუფლებს ყველა პოლიტპატიმარს და შეწყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც მისი პოლიტიკის წინააღმდეგი არიან ან არიან პოლიტიკურად აქტიურები, ან აქტიურობენ სამოქალაქო თვალსაზრისით, მაშინ შესაძლებელია დიალოგის რეჟიმის დაბრუნება და ამ ვითარებაში, შეიძლება, ქვეყანა კრიზისიდან გამოვიდეს, ამასთანავე, უნდა დაბრუნდეს პროპორციული არჩევნები. სხვა შემთხვევაში ეს შეუძლებელია.

რომ ვთქვა, თითქოს მას უნდოდა დიალოგი, ასე არ არის. იმ რეალობაში, რომელიც შექმნა ივანიშვილმა, დიალოგის რეჟიმის დატოვება შეუძლებელია და ეს პოლიტიკური მკვლელობის ტოლფასი იქნებოდა.

***— ყველასთვის გასაგებია დიალოგის დატოვების მოტივაცია ოპოზიციის მხრიდან, მაგრამ ამ განცხადებების ფონზე არ გეგმავთ, რომ პირდაპირი კომუნიკაცია გქონდეთ დასავლელ პარტნიორებთან, რათა კარგად აუხსნათ, რატომ შეწყვიტეთ დიალოგი?***

— რასაკვირველია, ამ საკითხებზე მუდმივად ვმუშაობთ და მათ ყველაფერი ძალიან კარგად იციან. ხელისუფლების მისამართით ასეთი მწვავე შეფასებები ჩვენი პარტნიორების მხრიდან ამას მოწმობს და ამის გამოძახილია.

***— ევროკავშირის საგარეო კომიტეტში გაისმა განცხადება, რომ ასოცირების ხელშეკრულებით არის ნაკისრი სამართლიანი სასამართლოს პრინციპი, ახლა კი ეს არ სრულდება. ეს ყველაფერი საფრთხეს ხომ არ უქმნის ქვეყანას და რისკის ქვეშ ხომ არ დგება ასოცირების ხელშეკრულების შეჩერების თაობაზე, რომლის მოპოვებისთვის წლები ვიბრძოდით?***

— რასაკვირველია. საქართველოს იმიჯსა და პროდასავლურ ინტერესებს, შესაძლებელია, საფრთხე შეექმნას, თუ ბიძინა ივანიშვილი გააგრძელებს ამ ქვეყანაში მმართველობას. თუ ეს რეალობა იქნება, მაშინ ეს საფრთხე სავსებით რეალურია. ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მალე დავასრულოთ ბიძინა ივანიშვილის მმართველობა ამ ქვეყანაში და გადავარჩინოთ ჩვენი სახელმწიფოებრიობა.

# მურმან დუმბაძე ბიძინა ივანიშვილს ოპოზიციაში ეპატიჟება

## „თუ მოვა ოპოზიციის მრგვალ მაგიდასთან და იტყვის, ვიქნები ერთი წევრი ერთი ხმითო, მაშინ მივიღებთ“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **მურმან დუმბაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო მურმან, ხელისუფლება ევროპარლამენტს მისიის შექმნასა და გიგი უგულავას საქმის შესწავლას სთავაზობს. რამდენად რეალურია, რომ მართლაც მსგავსი რამ მოხდეს?***

— ჩამოვიდა ეს მისია და დაადგინა, რომ უზენაესმა სასამართლომ არასწორად მიუსაჯა გიგი უგულავას, მერე რა ხდება?! სასამართლოს გადაწყვეტილებას შეცვლის ეს მისია თუ რას იზამს?! დროის გაყვანის ტაქტიკაა, მეტი არაფერი. ბიძინა ივანიშვილისთვის ახლა ყველა წუთი მნიშვნელოვანია.

იმ ყველაფრის მერე, რაც 21 ივნისს ქვეყანაში მოხდა, ივანიშვილი აიჭრა, გვითხრა, პარლამენტში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ჩემ წინააღმდეგ წავიდნენ და ამიჯანყდნენო. ამავე დროს, ყველა ეს ადამიანი დაწინაურდა, ხოლო ისინი, ვინც დანაპირების შესრულებას ითხოვდნენ პროპორციულ არჩევნებთან დაკავშირებით, ოპოზიციაში წამოვიდნენ. ასეთია რეალობა.

მე რჩევა მაქვს ბიძინა ივანიშვილთან: თუ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მიდის გუნდი, ეურჩებიან, მაშინ გაემიჯნოს ამ ადამიანებს, შექმნას დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია და მოვიდეს გაერთიანებულ ოპოზიციაში, მრგვალ მაგიდასთან და თქვას, რომ ტოვებს ხელისუფლებას და ოპოზიციაში გადადის, რომ ეს ხალხი გადამგდებია, რომ პროპორციული არჩევნები ქვეყანას ამ პოლიტიკური ჩიხიდან გამოიყვანს.



***— მიიღებთ?***

— თუ მოვა ოპოზიციის მრგვალ მაგიდასთან და იტყვის, ვიქნები ერთი წევრი ერთი ხმითო, მაშინ მივიღებთ. ცხადია, ნული პროცენტითაც კი არ ვუშვებ ამ შესაძლებლობას, რადგან ივანიშვილს სწორედ ძალაუფლება უნდა, რომ თავისი ქონება დაიცვას. ის ფიქრობს, რომ ახალი ხელისუფლება მას ქონებას ჩამოართმევს და ციხეში გაუშვებს.

ასე არ იქნება. მე ვიქნები ამის კატეგორიული წინააღმდეგი. თუ რამე გადაწყვეტილება იქნება მიღებული ამ მიმართულებით, ამას მთელი ძალით შევეწინააღმდეგები.

ეს ერთხელ და საბოლოოდ დასრულდება. დამოუკიდებელი სასამართლო, ინგლისელი, ფრანგი, ამერიკელი მოსამართლეები გადაწყვეტენ ობიექტურად და მიუკერძოებლად, რა და როგორ. სასამართლო, პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიტიკისგან სრულად იქნება დაცლილი.

***— როგორ უზრუნველყოფთ ამას?***

— უზრუნველვყოფთ. თუ ამას არ გავაკეთებთ, მაშინ იმავე ჩაკეტილ წრეზე ვიტრიალებთ, როგორც ეს 30 წელი. ჩემი პოზიციაა, სასამართლო ხელისუფლება უცხოელ მოსამართლეებს გადავცეთ.

***— ნიკა მელიას საქმე პროკურატურამ სააპელაციო სასამართლოს გადასცა. შეიძლება, დააკავონ?***

— არაფერს გამოვრიცხავ, ეს კაცი ვაბანკზე მიდის.

***— გიორგი მარგველაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე რას იტყვით?***

— მარგველაშვილი და კვირიკაშვილი ალბათ უფრო „ლელოს“ მიმართულებით იხედებიან. მიმაჩნია, რომ ამ ადამიანების პოლიტიკაში დაბრუნება უფრო პოზიტიურია, ვიდრე ნეგატიური. ახლა მოქალაქის სახლში ჯდომა თბილ ბუხართან დიდი ფუფუნებაა. არც ის არის საკმარისი, რომ მხოლოდ ფეისბუკპოსტებით ან ჟურნალისტების კითხვებზე პასუხებით შემოიფარგლონ. ნამდვილად არის აქტიურობის, მოქმედების დრო, ამას ახლა ჩვენი ქვეყანა ითხოვს, რომელიც, პრაქტიკულად, განსაცდელშია.

ამდენი წელია, პოლიტიკაში ვარ და ის, რაც სტრასბურში მოხდა, ევროპარლამენტარების განცხადებები, ასეთი რამე არ მახსოვს. ეს იყო პირდაპირი შტურმი ხელისუფლების მისამართით. ცოტა ხანში ამერიკელი სენატორებისა და კონგრესმენების წერილები ხელისუფლებას სანატრელი გაუხდება.

***— ზვიად ძიძიგური არ გამორიცხავს ვადამდელ არჩევნებს, რომელიც, შეიძლება, აპრილში ან მაისში დაინიშნოს. რამდენად ელოდებით ვადამდელ არჩევნებს?***

— როდესაც ხელისუფლებაში ვიყავი, თანამდებობრივად მიწევდა უმრავლესობის სხდომებზე დასწრება. ივანიშვილი ამ სხდომებზე ხშირად ახსენებდა ვადამდელ არჩევნებს.

***— რატომ?***

— თუ ვინმე შეეწინააღმდეგებოდა, მოსაზრების დონეზე განსხვავებულ აზრს გამოთქვამდა იმ საკითხზე, რომელსაც ის აყენებდა, მაშინვე ვადამდელი არჩევნებით გვემუქრებოდა, იტყოდა, თუ ეს საკითხი არ გავა, მაშინ ვადამდელ არჩევნებს დავნიშნავო. ამით გვეუბნებოდა, მე ვარ პარლამენტიც, კონსტიტუციაც და ყველაფერიცო.

რა თქმა უნდა, სულაც არ გამოვრიცხავ ვადამდელ არჩევნებს. ეს საკითხი აუცილებლად დადგებოდა, გუნდიდან ამდენი წასვლის შემდეგ ის იტყოდა, ვადამდელ არჩევნებს დავნიშნავ და ამით დავამთავრებ ყველაფერსო. მაგრამ ვადამდელი არჩევნები ოპოზიციის განხილვის ერთ-ერთი საგანია. ეს ვარიანტი მრგვალ მაგიდასთან არის განხილული და ამისთვის ვემზადებით.

***— 4 აპრილს რა იქნება, 100 ათას ადამიანს გამოიყვანთ?***

— არა, არა, 100 ათასი კაცი რუსთაველის გამზირზე არასოდეს მოსულა! როდესაც შევარდნაძე გადადგა, მაშინ იყო მაქსიმუმი და ეს იყო 30 ათასი ადამიანი, რომელიც რუსთაველზე მოვიდა.

# დავით ლორთქიფანიძე: „ოპოზიცია არჩევნებისთვის მზად არ არის“

## „ოპოზიციამ დააანონსა 4 აპრილი, შემდეგ იქნება 5 მაისის აქცია, 6 ივნისის, 7 ივლისის, 8 აგვისტოს, 9 სექტემბრის, 10 ოქტომბრის აქცია და მერე მივალთ არჩევნებზე“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, „ქართული ოცნების“ წევრი **დავით ლორთქიფანიძე** პასუხობს.

***– ბატონო დავით, ხელისუფლებას უგულავას დაპატიმრება აწყობდა? ოპოზიცია ამბობს, რომ უგულავა ხელისუფლებამ დააპატიმრა.***

– მე არ ვიტყოდი, რომ უგულავა ხელისუფლებამ დააპატიმრა. უგულავა დააპატიმრა მისმა ნამოქმედარმა, თბილისის მერობის დროს მისმა ქმედებებმა. ის გასამართლებულია თბილისის განვითარების ფონდიდან თანხების გაფლანგვისთვის, არამიზნობრივი ხარჯვისთვის.

საუბარი იმაზე, თითქოს უგულავა ერთი და იმავე დანაშაულისთვის ორჯერ გაასამართლეს, არასწორია, რადგან ორი ინსტანციის სასამართლოში გაიარა ამ საქმემ და მას და მის ადვოკატებს არასოდეს გაუპროტესტებიათ. როგორც ჩანს, დარწმუნებული იყვნენ, რომ მას ამაზე პასუხს არ მოსთხოვდნენ. უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი და 9 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

უგულავა 182-ე მუხლით გასამართლდა. ძალიან სერიოზული ბრალდებაა. მას ამნისტია შეეხო და გაუნახევრდა სასჯელი. ასევე მოხდილი წლები ჩაეთვალა და დარჩა 3 წელი და ორი თვე.

***– გინდათ თქვათ, რომ ხელისუფლება არაფერ შუაშია?***

– ამაში დარწმუნებული ვარ. ამაზრზენია ის, რასაც მისი მომხრეები მის დაჭერასთან დაკავშირებით დღეს ლაპარაკობენ. ჩვენ ამნეზია არ დაგვმართნია. გვახსოვს, ნაცები ხალხს როგორ იჭერდნენ. 48 მილიონის გაფლანგვაზე კი არა, ადამიანებს ჯერ ფულს ახევდნენ.

არაერთი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო იმისა, თუ როგორ აპატიმრებდნენ ნაცები: რკინიგზის ყოფილი ხელმძღვანელი აკაკი ჩხაიძე, ჯოხთაბერიძე, კობა ნარჩემაშვილი – გენერალი კაცი დააპატიმრეს – დაკრძალვაზე მყოფი დაიჭირეს; დავით მირცხულავა საკაცით შეიყვანეს საპატიმრო დაწესებულებაში. ისინი საერთოდ მორალისაგან დაცლილები არიან. ნაცებს ისეთი რაღაცები აქვთ ჩადენილი, ამაზრზენია, როცა ისინი დაპატიმრებაზე ლაპარაკობენ. მე გეტყვით, მათი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ნაცები როგორ მოიქცეოდნენ.

***– როგორ მოიქცეოდნენ?***

– უგულავას 30 მილიონს მიატანინებდნენ და მერე დაიჭერდნენ.

***– სამოქალაქო წესით რატომ არ ცდილობს პროკურატურა გაფლანგული ფულის ამოღებას?***

– სამართლებრივად როგორ არის, არ ვიცი.

***– სახელმწიფოსთვის ფულის გადახდის დაკისრება არ სჯობდა უგულავას ციხეში ჩასმას?***

– ყველაზე რელევანტური რაც იყო მისი ბრალდებისთვის, პროკურატურამ ის ბრალდება წარუდგინა უგულავას სასამართლოში. ცხადია, ჯობდა, ფული დაებრუნებინათ სახელმწიფო ბიუჯეტში, მაგრამ საკმაოდ რთული თემაა.

***– უგულავას დაპატიმრებამ ისევ აალაპარაკა უკმაყოფილო ამერიკელი კონგრესმენები და სენატორები. რადგან საბოლოო განაჩენის გამოტანა დაგვიანდა, საბოლოო გადაწყვეტილებამდე უგულავამ პირველი ინსტანციის განაჩენით სასჯელი მოიხადა და გათავისუფლდა, არ ჯობდა, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, უზენაეს სასამართლოს უგულავასთვის პირობითი მიესაჯა?***

– როდესაც სისხლის სამართალთან გაქვს საქმე, ვერანაირი პოლიტიკური მიზანშეწონილობა, პოლიტიკური რეგალია და იმუნიტეტი ვერ გიშველის. ჩვენს პარტნიორ ქვეყნებში არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ამას უარყოფითად უყურებენ, არიან პოლიტიკოსები, რომლებიც გაგებით ეკიდებიან და ამბობენ, რომ ოპოზიცია ქვეყნის მართვაში უნდა იყოს ჩართული, იმავე საარჩევნო კანონის შემუშავებაში, მოლაპარაკებებში, მაგრამ არა ისეთები, ვისაც კრიმინალთან შეხება არ აქვს.

ეს „გემოვნების“ საკითხია. ზოგისთვის მიუღებელია უგულავას დაპატიმრება, ბევრისთვის



– კანონის უზენაესობისკენ გადადგმული ნაბიჯი.

***– ოპოზიციის წარმომადგენლები უგულავას დაპატიმრებას პირდაპირ თადუმაძეს აბრალებდნენ. რას უპასუხებთ?***

– თადუმაძე ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით არის მოსამართლედ დანიშნული. მას კანონით მინიჭებული უფლება ჰქონდა, ეს საქმე განეხილა. ყველაფერი შედარებითი და შეფარდებითია, ვინ როგორ ხედავს საქმეს.

ისინი ემზადებიან ამ საქმის სტრასბურში წასაღებად. დარწმუნებული ვარ, ევროსასამართლო ამ საქმეს დაჩქარებული წესით განიხილავს. იქ ყველაფერს პასუხი გაეცემა და გამოჩნდება, ამ საქმეში სუბიექტური რა იყო. სტრასბური აბსოლუტურად სამართლიანად სჯის, ეს აჩვენა „რუსთავი 2-ის“ საქმემ. ვფიქრობ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლო სწორ პოზიციას დააფიქსირებს, რაც საქართველოს ხელისუფლების პოზიციასთან თანხვედრაში იქნება.

***– მოგეხსენებათ, უგულავას დაპატიმრება ოპოზიციისთვის მიზეზი გახდა, რომ დიალოგზე უარი ეთქვათ. როგორც ჩანს, პროცესების რადიკალიზაციაზე წავლენ. 4 აპრილისთვის აქცია უკვე დანიშნეს. რას ელოდებით?***

– ოპოზიციის რესურსი მილევადი გახლდათ. ჩიტი ხეზე იჯდა და ხელის აქნევას ელოდებოდაო, ასეთ ვითარებაში იყო ოპოზიცია. ჩემთვის გაუგებარ განცხადებებს აკეთებენ.

***– რას გულისხმობთ?***

– ამბობენ, რომ ხელისუფლებას ნებისმიერ სიტუაციაში დაამარცხებენ. ამას უგულავას დაპატიმრებამდეც აცხადებდნენ, ხელისუფლება უკვე განწირულია, არჩევნები უკვე წაგებული აქვს, ჩვენ ვთანხმდებით მაჟორიტარებზეო. ახლაც ამას ამბობენ. შეგუებულნი იყვნენ დღეს არსებული საარჩევნო კანონით არჩევნების ჩატარებას.

კანონის ცვლილებისთვის ცოტა დროა დარჩენილი. დრო კანონის მიღების სასარგებლოდ არ მოქმედებს. ამიტომ იმ პოზიციის, რომ ისინი მაჟორიტარ კანდიდატებზე შეთანხმებისთვის ემზადებიან, მე გაგებით ვეკიდები.

***– მათი საუბრებიდან მე ვერ მივედი იმ დასკვნამდე, რომ ოპოზიცია მაჟორიტარ კანდიდატებზე შეთანხმებას შეძლებს.***

– გეთანხმებით. ახლა გამოჩნდა, რომ „ლელო“ ამბობს, მაჟორიტარებთან დაკავშირებით ჯერ არ არიან ჩამოყალიბებული. სხვებიც იმავეს აფიქსირებენ. მეც არ მაქვს იმის განცდა, რომ ისინი შეთანხმდებიან. ეს მათი პრობლემაა და არა ჩვენი საზოგადოებისა.

***– თუმცა, ოპოზიცია შეთანხმდა იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი და მისი ხელისუფლება უნდა წავიდეს.***

– ყველა ქვეყანაში ოპოზიციას უნდა, მმართველი პოლიტიკური ძალა ხელისუფლებიდან გაუშვას. მათ დააანონსეს 4 აპრილი. იუმორით თუ ვიტყვით, შემდეგ იქნება 5 მაისის აქცია, 6 ივნისის აქცია, 7 ივლისის აქცია, 8 აგვისტოს აქცია, 9 სექტემბრის აქცია, 10 ოქტომბრის აქცია და მერე მივალთ არჩევნებზე, ანუ ისინი ციფრებს მისდევენ.

***– რა, არ არიან მზად ხელისუფლებაში მოსასვლელად? 32 პარტიაა გაერთიანებული, ხელისუფლების შეცვლას ვერ შეძლებენ?***

– მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი მზად არ არიან არჩევნების ნორმალურ გარემოში ჩასატარებლად. მათი კანდიდატები არ იქნებიან კონკურენტუნარიანები ხელისუფლების კანდიდატებთან. მათი რესურსი ამის რეალურ საშუალებას არ იძლევა.

# ნინო ცაციაშვილი: „ოჯახში მოძალადეთა მიმართ მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა გრძელდება“

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის კვლავ პრიორიტეტია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა და მსხვერპლის ინტერესებზე მორგებული გამოძიების უზრუნველყოფა. გრძელდება მოძალადეთა მიმართ მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარება.



2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა პოლიციისადმი მომართვიანობა, რაც ნდობის გაზრდასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიუთითებს.

2019 წელს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის 6.000-ზე მეტ ფაქტზე დაიწყო გამოძიება. 2018 წელს გამოძიება დაიწყო 5621 შემთხვევაზე.

2019 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტისა და საქართველოს გენერალური პროკურატურის კოორდინირებული მუშაობის შედეგად, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის ბრალი წარედგინა 4564 პირს. უმეტესი მათგანის მიმართ გამოყენებულ იქნა დაკავების ღონისძიება. 2018 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3955 პირის მიმართ.

2019 წელს სამართალდამცველებმა ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მსხვერპლთა დაცვის მიზნით 10 266 შემაკავებელი ორდერი გამოსცეს, რაც 34%-ით აღემატება 2018 წლის მონაცემებს. (2018 წელს ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა 7646-ს შეადგენს).

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ძალადობის ეფექტიანი პრევენციის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, შემაკავებელი ორდერის დარღვევისთვის გამკაცრდა პასუხისმგებლობა და ადმინისტრაციულის ნაცვლად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაწესდა. ასევე, ამოქმედდა ძალადობის რისკის შეფასების და შემაკავებელი ორდერის მონიტორინგის მექანიზმი, რამაც შემაკავებელი ორდერი მსხვერპლთა დაცვის რეალურ ინსტრუმენტად აქცია. შედეგად:

შემცირდა შემაკავებელი ორდერის დარღვევის მაჩვენებელი. 2019 წელს, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერი 376-მა პირმა, ანუ მხოლოდ 4%-მა დაარღვია. 2018 წელს დაფიქსირდა შემაკავებელი ორდერების დარღვევის 6%-იანი მაჩვენებელი;

2018-2019 წლებში, შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადაში არც ერთი მკვლელობა არ მომხდარა;

შემცირდა ოჯახური დანაშაულის შედეგად ქალთა მკვლელობების მაჩვენებელი. ოჯახური დანაშაულის შედეგად 2016 წელს გარდაიცვალა 14 ქალი, 2017 წელს – 14 ქალი, 2018 წელს – 7 ქალი, ხოლო 2019 წელს – ასევე 7 ქალი;

გაიზარდა ოჯახის წევრის მიერ ქალის თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ფაქტზე პასუხისგებაში მიცემულ პირთა რაოდენობა. კერძოდ, ოჯახის წევრის მიერ ქალის თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ფაქტზე 2018 წელს პასუხისგებაში მიცემული იქნა 2 პირი, ხოლო 2019 წელს – 9 პირი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას. სამინისტროს ინიციატივით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა განმეორებითი ძალადობისაგან დაცვის მიზნით, საქართველოს პარლამენტში განიხილება კანონპროექტი, რომელიც, რეალური საფრთხის არსებობის შემთხვევაში, პოლიციელთა მიერ მოძალადეთა მიმართ ელექტრონული მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაწეული ძალისხმევისა და პოლიციისადმი მომართვიანობის გაზრდის მიუხედავად, არსებობენ მსხვერპლები, რომლებიც არ თანამშრომლობენ პოლიციასთან, რაც მოძალადეს ახალი და, როგორც წესი, უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენისაკენ უბიძგებს.

მსხვერპლის ეფექტიანი დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანია საზოგადოების თითოეული წევრის კიდევ უფრო გააქტიურება. ამიტომ, მოგიწოდებთ ყველა მსხვერპლს, ასევე, ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს ინფორმაციას ძალადობის შესახებ, დროულად მოგვაწოდოთ ინფორმაცია ძალადობის შესახებ, რათა პოლიციას ჰქონდეს თითოეული მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვის რეალური შესაძლებლობა.

# გოჩა თევდორაძე: „ოცნებას“ 135–15–ზე ვარიანტს ვთავაზობთ“

## „ჩვენი ახალი ვარიანტი ოპოზიციური ერთობისთვის მისაღები უნდა იყოს“

მარიამ მჭედლიშვილი

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, საარჩევნო საკითხებზე მიმდინარე მოლაპარაკებების აქტიური მონაწილის, გიგი უგულავას ხელმეორედ დაპატიმრების შემდეგ ოპოზიციამ გამოაცხადა, რომ წყდება მოლაპარაკებები საარჩევნო თემაზე. ბევრი მიიჩნევს, რომ მოლაპარაკებები არ უნდა შეწყდეს. ამ სიტუაციაში თავისი ინიციატივა წამოაყენა საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა, რომელიც ოპოზიციურ ერთობაში არ შედის. შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პატრიოტთა ალიანსის აღმასრულებელ მდივან **გოჩა თევდორაძეს.**

***– თქვენი ახალი ინიციატივა, რომელიც გულისხმობს მაჟორიტარების რაოდენობის 15-მდე დაყვანას, ანუ პროპორციას 135-15-ზე, ოპოზიციურ ერთობას თუ გააცანით?***

– პატრიოტთა ალიანსი ამ ფორმატში არ ვმონაწილეობთ, ერთობაში არ შევდივართ. ეს არის ჩვენი ინიციატივა. ამ წინადადებით, ავირჩევთ 15 მაჟორიტარს და მოვიცავთ მთელ ქვეყანას, დედაქალაქში გვეყოლება სამი მაჟორიტარი. როგორც ვიცი, ოპოზიციურ ერთობაში ასეთ ვარიანტს არ ეწინააღმდეგიან. პროექტს ხელისუფლებას წარვუდგენთ.

***– გიგი უგულავას დაკავების შემდეგ რეალობა შეიცვალა?***

– რასაკვირველია, შეიცვალა რეალობა. არის მკაცრი კრიტიკა და ზეწოლა დასავლეთიდან – აშშ-დან, ევროპიდან. ყველა მიუთითებს დემოკრატიის ნაკლებობაზე. „ქართულ ოცნებას“ მძიმე სიტუაცია შეექმნა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. თუ ასე გააგრძელა, თუ გონივრული მოქმედებები არ დაიწყო, ქვეყანა დაზიანდება. დიდი პრობლემებია როგორც საარჩევნო გარემოს, ისე მართლმსაჯულების მხრივ.

### „დემოკრატიის უკუსვლა ხელისუფლებას არ შერჩება“

***– იმედი გაქვთ, რომ მოლაპარაკებები განახლდება და მეხუთე რაუნდიც შედგება?***

– ჩვენ ამისთვის მზად ვართ. განვმარტავ, რომ ჩვენ არ შევდივართ ოპოზიციურ ერთობაში, მაგრამ ვმონაწილეობთ მოლაპარაკებებში საარჩევნო საკითხებზე საელჩოების ეგიდით. მიგვაჩნია, რომ მოლაპარაკებების რესურსი არ ამოწურულა და შეთანხმება ისევ უნდა ვცადოთ. თუ არაფერი გამოვიდა, გაგრძელდება საერთაშორისო ზეწოლა, ქვეყნის შიგნით კი იქნება აქციები და მანიფესტაციები.

***– ოპოზიციურ ერთობაში ნაციონალური მოძრაობის გამო არ ხართ?***

– ნაციონალური მოძრაობა უდიდესი ბოროტებაა. მასთან ერთად ვერ დავდგებით და გეგმებს ვერ შევადგენთ. სამართლიანი არჩევნები გვინდა და საელჩოების მიერ ორგანიზებულ მოლაპარაკებებში ვმონაწილეობთ.

ეს ხელისუფლებაც არასწორ ნაბიჯებს



დგამს, ბევრს აშავებს, მაგრამ ნაცმოძრაობა მასზე დიდი ბოროტებაა. ის, რომ გარკვეულ საკითხებში ჩვენი მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა და ერთნაირი მოთხოვნები გვაქვს, ამ ხელისუფლების დამსახურებაა. ამ ხელისუფლების დანაშაულია, რომ სისტემა არ შეცვალა.

***– სამართლიანობის აღდგენასაც მოითხოვდით.***

– დიახ. ნაცმოძრაობასა და მის დანაშაულებს 2005 წლიდან ვებრძვით. მაშინ ჯერ პარტია არ გვქონდა და წინააღმდეგობის მოძრაობაში ვიყავით, გამუდმებით მოვითხოვდით სამართლიანობის აღდგენასა და სააკაშვილის რეჟიმის საქმიანობის შეფასებას. შევიმუშავეთ რეზოლუციის პროექტი, რომელიც გავიტანეთ პარლამენტში და საკმარისი მხარდაჭერა ვერ მივიღეთ. ზოგადად, ყველა ხელისუფლებამ უნდა შეაფასოს წინამორბედი.

***– წინა ხელისუფლების საქმიანობის შეფასება ტრადიციად უნდა იქცეს?***

– ჩვენ ასე მიგვაჩნია. დადებითი მომენტებიც უნდა შეფასდეს და უარყოფითიც. ნაცმოძრაობას უამრავი სისტემური დანაშაული აქვს ჩადენილი და ესეც უნდა აღინიშნოს.

***– ამ ქაოსურ სიტუაციაში პოლიტიკაში აქტიურად დაბრუნების სურვილი გამოთქვა მეოთხე პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა. იგი ამისკენ ყოფილ პრემიერ გიორგი კვირიკაშვილსაც უბიძგებს.***

– პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება ყველას აქვს. რასაკვირველია, ეს შეუძლიათ გიორგი მარგველაშვილსა და გიორგი კვირიკაშვილსაც. მათ მიმართ ცოტა უკმარისობის გრძნობა გვეუფლება.

***– რას გულისხმობთ?***

– მათ შეეძლოთ, ქმედითი ნაბიჯები გადაედგათ. უმაღლესი თანამდებობები ეკავათ და უნდა ემუშავათ თუნდაც საარჩევნო გარემოსა და მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესებისათვის. არც მარგველაშვილსა და არც კვირიკაშვილს ამისთვის არ უშრომიათ.

***– როგორ განვითარდება მოვლენები, დესტაბილიზაცია მოსალოდნელია?***

– არაფერს გამოვრიცხავ. ყველაფერი ასე მარტივად არ დამთავრდება. ხელისუფლებას ნუ ექნება იმედი, რომ დემოკრატიის უკუსვლა და უსამართლო მართლმსაჯულება შერჩება.

# პროკურატურა ნიკა მელიასთვის 7-დან 10 წლამდე პატიმრობას ითხოვს

საქართველოს გენერალური პროკურატურა ნაციონალური მოძრაობის ერთი-ერთი ლიდერის ნიკა მელიასთვის 7-დან 10 წლამდე პატიმრობას ითხოვს.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს ნიკა მელიას ადვოკატმა გიორგი მდინარაძემ განუცხადა. როგორც მდინარაძე აცხადებს, პროკურატურის მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან ნიკა მელიას წინააღმდეგ ბრალდების მხარეს მტკიცებულებები არ აქვს.

– პროკურატურის მოთხოვნაა, რომ ნიკა მელია ბანკი „ქართუს“ საქმეზე იმ მუხლშიც გამტყუნდეს, რაშიც საქალაქო სასამართლოს გამამართლებელი გადაწყვეტილება აქვს მიღებული. მუხლი 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა.

ჩემი აზრით, პროკურატურის საჩივარი სრულიად უსაფუძვლოა, რადგან პირველ ინსტანციაშიც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ საერთოდ არ იყო მტკიცებულებები მელიას წინააღმდეგ, რაც მოსამართლემ ნაწილობრივ გაიზიარა და ერთ მუხლში გაამართლა. ამასთან, მიმაჩნია, რომ მელია იმ მუხლში, რაშიც დამნაშავედ არის ცნობილი, ცოტა გაუგებარია იქედან გამომდინარე, რომ ბრალში ერთი ქმედებაა აღწერილი და ორი მუხლი აქვს წაყენებული. თუ მოსამართლემ ჩათვალა, რომ დანაშაულის ნიშნები არ იყო და მტკიცებულებები საკმარისი არ იყო, ერთ ნაწილში როგორ გაამტყუნა და მეორეში გაამართლა? ეს, ჩემი აზრით, სამართლებრივი ნონსენსია, – განაცხადა მელიას ადვოკატმა და დასძინა, რომ პროკურატურის საჩივარი სააპელაციო სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს.

– გარდა ამისა, ჩვენც გვაქვს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული იმ ნაწილში, რაშიც მერია გამტყუნდა და ვითხოვთ მის გამართლებას. ძალიან დიდი მოცულობის საქმეა, ბრალიც დიდია და განაჩენიც 240 გვერდია.

მიკვირს, რომ სააპელაციო სასამართლოში ასეთ რთულ საქმეს ერთი მოსამართლე ვეფხია ლომიძე იხილავს. ასეთი რთული კატეგორიის და პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანი საქმეები პირველ ინსტანციაშიც კი კოლეგიურად უნდა განიხილონ, არათუ სააპელაციო სასამართლომ. ერთი მოსამართლე იხილავდეს საქმეს, უკვე არასერიოზული მიდგომა ჩანს, – განაცხადა მდინარაძემ.

ადვოკატის თქმით, შესაძლებელია, მელიას ბრალი დაუმძიმდეს, თუმცა, მდინარაძე ამბობს, რომ ამ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება სასამართლოს ობიექტურობა და მიუკერძოებლობა.

– ზოგადად, სააპელაციო სასამართლოს ბრალის დამძიმება შეუძლია მაშინ, როდესაც პროკურორი ასაჩივრებს. ვინაიდან ვიცით, რომ პროკურორს გადაწყვეტილება გასაჩივრებული აქვს, შესაძლებელია, ბრალი დაუმძიმდეს კიდეც და მისი საპატიმროში გაშვებაც მოხდეს თუ პროკურორის საჩივარს დააკმაყოფილებს, მაგრამ მე, როგორც ადვოკატს, მაქვს მოლოდინი,



რომ თუ მოსამართლე ობიექტური და მიუკერძოებელი იქნება, გავლენების ქვეშ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, მაშინ მელია უნდა გამართლდეს.

თუ არ გამართლდება, გამიჩნდება ეჭვი, რომ ეს არ იყო დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, – დასძინა ადვოკატმა მდინარაძემ.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ნიკა მელიას საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიმართა. სასამართლო პროცესი 10 მარტს, 12:00 საათზეა დანიშნული.

ბანკი „ქართუს“ ხელოვნურად გაკოტრების საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულების ზურაბ ადეიშვილისა და ნიკა მელიას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი 2019 წლის 2 დეკემბერს გამოიტანა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნიკა მელია საწარმოში და სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობითი და სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიერ დიდი ოდენობით ქონების გადამალვაში დახმარება მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებით, მოსალოდნელი და უკვე არსებული ქონებრივი ვალდებულებებისათვის თავის არიდების მიზნით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ ბრალდების ნაწილში უდანაშაულოდ ცნო და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა, ხოლო მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებაში ნიკა მელია გამტყუნდა და მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 25.000 ლარის ოდენობით.

მასვე, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, დანიშნული სასჯელი, თანამდებობის დაკავების უფლება, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და საბოლოოდ 2 წლის და 3 თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

# უგულავასთან ერთად დასაპატიმრებელი 4 პირი საქართველოდან გაიქცა

## შსს-მ მათ მიმართ ძებნა გამოაცხადა

მას შემდეგ, რაც უზენაესმა სასამართლომ გიგი უგულავას 3 წლითა და 2 თვით პატიმრობა მიუსაჯა, მედიის ყურადღების მიღმა დარჩა ამავე საქმეზე სხვა ბრალდებულების მიმართ გამოტანილი განაჩენი.

არადა, უზენაესმა სასამართლომ მითვისება-გაფლანგვაში დამნაშავედ ცნო და ასევე პატიმრობა მიუსაჯა:

„თბილისის განვითარების ფონდის“ ყოფილ თავმჯდომარეს, გიორგი საბანაძეს – 4 წელი;

მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის ყოფილ უფროსს, ალექსი თაბუაშვილს – 3 წელი და 6 თვე;

თბილისის მერის ყოფილ მოადგილეს, დავით ალავიძეს – 3 წელი და 6 თვე;

ძველი თბილისის ყოფილ გამგებელს, დავით ავალიანს – 3 წელი და 6 თვე;

„პრაიმტაიმი“ დაინტერესდა, გიგი უგულავას მსგავსად მოხდა თუ არა თბილისის მერიის ამ ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებაც.

აღმოჩნდა, რომ არც ერთი მათგანი ამ დროისთვის ქვეყანაში არ იმყოფება.

გიორგი საბანაძემ საქართველო 2012 წელს, ხელისუფლების ცვლილებისთანავე დატოვა, ხოლო ალექსი თაბუაშვილმა, დავით ალავიძემ და დავით ავალიანმა – მიმდინარე წლის 4-7 თებერვალს, ანუ უზენაესი სასამართლოს მიერ განაჩენის გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე.

როგორც წესი, ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის შემთხვევაში უზენაესი სასამართლო მხარეებს განაჩენის გამოცხადების თარიღს წინასწარ აცნობს. შესაბამისად, ინფორმაცია, რომ 10 თებერვალს განაჩენი გამოცხადდებოდა დაახლოებით ორი კვირით ადრე ცნობილი იყო, როგორც პროკურატურისთვის, ისე ბრალდებულებისთვის, რომელთაგან სამმა საზღვარი სწორედ ამ შეტყობინების შემდეგ, მოსალოდნელი დაპატიმრებისგან თავის არიდების მიზნით დატოვა.

„პრაიმტაიმს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს, რომ „თბილისის განვითარების ფონდის“ საქმეზე ბრალდებულმა სამმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა ქვეყანა მართლაც განაჩენის გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე დატოვა, ერთმა, გიორგი საბანაძემ კი – 2012 წელს.

შსს-მ მათ მიმართ ძებნა გამოაცხადა.

**პრაიმტაიმი**



# „ირმა მაისურაძეს შვილის გაშვილება სურდა, რადგან მისი რჩენა არ შეუძლია“

ახალშობილის გაყიდვის საქმეზე ბრალდებული დედა ირმა მაისურაძე აცხადებს, რომ ბავშვის გაშვილება სურდა, ვინაიდან მისი გაზრდის მატერიალური საშუალება არ ჰქონდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალებზე ირმა მაისურაძის ადვოკატი ნათელა ჩერქეზია ინტერპრესნიუსთან საუბრობს.

როგორც ჩერქეზია აცხადებს, ბავშვის მყიდველები ოპერატიული მუშაკები იყვნენ და ფულის გადაცემის ფაქტი არ მომხდარა.

– ბავშვის გაშვილება იმის გამო სურდა, რომ მის გასაზრდელად მატერიალური საშუალება არ ჰქონდა. ყველაზე კარგი, რაც მოხდა, არის ის, რომ ბავშვი დაიბადა და აბორტი არ გაკეთდა. ეს აჟიოტაჟი ცოტა უხერხულ სიტუაციას ქმნის, ბავშვი ცოცხალია, – აცხადებს ადვოკატი.

რაც შეეხება იმას, რომ ბავშვის დედა, სწორედ ახალშობილის გაყიდვის საქმეზეა ბრალდებული, ადვოკატი განმარტავს, რომ მყიდველები ოპერატიული მუშაკები იყვნენ და ბავშვი არ გაყიდულა.

– ვის რა ინტერესები ჰქონდა, რა როგორ იყო, არავინ იცის. თუკი შეთავაზება იყო, რომ ბავშვი გარკვეულ თანხად გაყიდულიყო, არ გაყიდულა.



ფინანსური დაინტერესება საბოლოო ჯამში, რეალიზებული არ არის და ამ სქემაზე საუბარი ახლა ცოტა უხერხულია, – აცხადებს ბრალდებული დედის ადვოკატი.

კითხვაზე, თუ ვისგან იყო ბავშვის გაშვილების შეთავაზება ფულის სანაცვლოდ, ადვოკატი პასუხობს, რომ ეს დადგენილი არ არის.

– ჯერ არ ვიცით, ვისგან იყო შეთავაზება, მაგრამ ფაქტია, რომ ბავშვის მყიდველი ფაქტობრივად არ არსებობს, ესენი არიან ოპერატიული სამსახურის თანამშრომლები.

ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალს აღიარებს იმ ნაწილში, რომ ბავშვის გაზრდა არ შეუძლია, რადგან ოჯახი მატერიალურად შეჭირვებულია, მას კიდევ ჰყავს ერთი შვილი, – აცხადებს ჩერქეზია.

რის სანაცვლოდ დათანხმდა ირმა მაისურაძე შვილის გაშვილებას?

ადვოკატი აცხადებს, რომ ეს დადგენილი არ არის და მისი დაცვის ქვეშ მყოფი ამასთან დაკავშირებით არაფერს ამბობს.

რაც შეეხება იმას, საქმეში მოიპოვება თუ არა ექიმების წინააღმდეგ ბავშვის დედის ჩვენება, ადვოკატი ამბობს, რომ ექიმების წინააღმდეგ არის ბრალდება, მაგრამ მტკიცებულებები ჯერ გამოკვეთილი არ არის.

– სულ რაღაც 2 დღის ამბავია და ასე ხელაღებით ექიმების დადანაშაულება რთულია. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არავის ადანაშაულებს, ადანაშაულებს მხოლოდ თავის გაჭირვებულ ცხოვრებას. ექიმმა შეიძლება ის უთხრა, იქნებ გააჩინო ბავშვი, გაზარდოო. როცა მიხვდა, რომ ვერ გაზრდიდა, გაშვილება მოიფიქრა. ის, რომ ექიმების შეთავაზებით მომხდარიყო ბავშვის გაყიდვა, ასეთი რამ არ ყოფილა. ჩემ დაცვის ქვეშ მყოფს არავითარი თანხა არ აუღია, – აცხადებს ადვოკატი.

ადვოკატი ასევე საუბრობს იმ ხარვეზებზე, რომლებიც შვილად აყვანის შესახებ კანონმდებლობაშია.

– ბავშვის გაშვილებისა და შვილად აყვანის კანონი ცოტა უნდა შეიცვალოს, სხვანაირად უნდა იყოს ეს მოგვარებული, ეს დანაშაულად არ უნდა გადაიქცეს და ტრეფიკინგს არ უნდა გაუთანაბრდეს, – აცხადებს ირმა მაისურაძის ადვოკატი.

# გოჩა ვეფხვაძის მკვლელობისთვის ძებნილი ზ.მ. დააკავეს



თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2019 წლის ოქტომბრიდან ძებნილი, 1979 წელს დაბადებული ზ.მ. თბილისში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სხვა დანაშაულის ჩადენის ან გაადვილების მიზნით განხორციელებული თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის 2019 წლის ოქტომბრიდან ძებნილი, 1979 წელს დაბადებული ზ.მ. თბილისში დააკავეს.

დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ზ.მ.-მ 2019 წლის 6 ოქტომბერს, თბილისში, გახოკიძის ქუჩაზე, თანამზრახველებთან ერთად, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, მუქარითა და ფიზიკური ძალის გამოყენებით თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა 1979 წელს დაბადებულ გ.ვ.-ს. ამის შემდეგ, იგი წაიყვანეს ლისის ტბისა და ბრიტანული სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დანისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით სხეულზე სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები მიაყენეს. მიყენებული ჭრილობების შედეგად, გ.ვ. საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მომხდარიდან რამდენიმე დღეში, ზ.მ.-ს პატიმრობა დაუსწრებლად შეეფარდა და 2019 წლის ოქტომბრიდან მასზე ძებნა გამოცხადდა.

მასთან ერთად, დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის, დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობაში დახმარების, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის პასუხისგებაში დაუსწრებლად არიან მიცემული და ამ დრომდე იძებნებიან: 1979 წელს დაბადებული დ.რ., 1986 წელს დაბადებული ვ.კ., 1980 წელს დაბადებული ნ.კ. და 1977 წელს დაბადებული დ.ბ.

აღნიშნული დანაშაულები 7-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ძებნილი პირების ადგილსამყოფელის დადგენა-დაკავების მიზნით ტარდება კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები“, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 25-109-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 236-ე მუხლით, 143-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**



# სარფში არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები გამოავლინეს

საბაჟო-გამშვებ პუნქტ „სარფში“ დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები გამოავლინეს.

ფაქტი 11 თებერვალს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა დააფიქსირეს.

საქართველოს მოქალაქის ხელბარგისა და ფიზიკური დათვალიერების შედეგად, 88.004.63 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროს საიუველირო (1030.35 გრამი) ნაკეთობებია გამოვლენილი.

უწყების ინფორმაციით, საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.



# ერდოღანი რუსეთს ბრალს სდებს

სირიაში იდლიბის პროვინციაში ვითარება გართულდა. თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანიც ვლადიმერ პუტინს დაუკავშირდა ტელეფონით. საუბარი იდლიბში შექმნილ მდგომარეობას შეეხებოდა. პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ მომავალ კვირას თურქეთის დელეგაცია მოსკოვს ეწვევა.

ჟურნალისტებთან საუბარში ერდოღანმა განაცხადა, რომ რუსი სამხედროები და ასადის ჯარისკაცები მშვიდობიან მოსახლეობას თავს ესხმიან. თურქეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ მსგავს უმსგავსობასთან შეგუებას არ აპირებს.

— თუ აუცილებელი გახდა, ასადის ფორმირებებზე დარტყმას ყველგან განვახორციელებთ და მათ გავანადგურებთ, — ამბობს ერდოღანი.

# სირიის პარლამენტმა სომეხთა გენოციდი აღიარა

სირიის პარლამენტმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია ოსმალეთის იმპერიის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარების შესახებ.

ინფორმაცია სომხურ მედიას სირია-სომხეთის მეგობრობის საპარლამენტო კომისიამ დაუდასტურა.

სირიის ელჩის სომხეთში მუჰამედ ნაჯ იბრაჰიმის თქმით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა.

— აღიარება მნიშვნელოვანია, რადგან არაბული სახელმწიფოებიდან მხოლოდ ლიბანმა აღიარა სომეხთა გენოციდი, — აცხადებს ელჩი.

ბოლო დროს თურქეთსა და სირიას შორის ურთიერთობები განსაკუთრებით დაიძაბა და სამხედრო შეტაკებებში გადაიზარდა. რუსეთისა და ირანის მოკავშირე ბაშარ ალ-ასადის ძალებს ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფები უპირისპირდებიან, რომელთაც ნაწილსაც თურქეთი სამხედრო და ეკონომიკურ მხარდაჭერას უწევს.





# ხომალდი ვესტერდამი კამბოჯის პორტში შეუშვეს

საკრუიზო ხომალდ „ვესტერდამს“, რომლის მიღებაზე უარი ხუთმა პორტმა განაცხადა, საბოლოოდ კამბოჯის პორტში შესვლის უფლება მისცეს.

ჰოლანდიურ-ამერიკული საკრუიზო გემი „ვესტერდამი“, რომლის ბორტზეც 1.455 მგზავრი და ეკიპაჟის 802 წევრი იმყოფებოდა, 1 თებერვალს ჰონგ-კონგიდან გამოვიდა, რის შემდეგაც სხვადასხვა პორტში შესვლას ცდილობდა.

გემს პორტში შესვლაზე უარი ტაილანდში, ფილიპინებში, ტაივანში, გუამსა და იაპონიაში უთხრეს. საბოლოოდ კი მის მიღებაზე თანხმობა კამბოჯამ განაცხადა. მგზავრებს პორტში სამედიცინო პერსონალი შეამოწმებს, რის შემდეგაც ისინი ხმელეთზე გადასვლასა და საკუთარ ქვეყნებში გამგზავრებას შეძლებენ. ამ დროისთვის გემზე კორონავირუსის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მყვინთავებმა მსოფლიოში ყველაზე დიდი ზვიგენი გაათავისუფლეს

მყვინთავებმა გაათავისუფლეს ვეშაპისებური ზვიგენი, რომელიც თოკებში იყო გახლართული.

მალდივის ერთ-ერთი კუნძულის მახლობლად ჩაყვინთვის დროს, სიმონე მიზუმეჩიმ და ანტონიო დი ფრანკამ ვეშაპისებური ზვიგენი შენიშნეს, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდ თევზად ითვლება. მათი შეფასებით, მისი სიგრძე დაახლოებით თოთხმეტ მეტრს აღწევდა. ზვიგენს სხეულზე შემოხვეული ჰქონდა თოკი, რომელიც ღრმად იყო ჩამჯდარი მის კანში.

მიზუმეჩიმ და დი ფრანკომ გადაწყვიტეს, რომ თევზს მათი დახმარება სჭირდებოდა. ისინი ზვიგენს დაეწივნენ, თოკს ხელი სტაცეს და მისი ფანქრის სათლელი პატარა დანის დახმარებით გადაჭრა დაიწყეს. თევზი ამ დროს მოძრაობას აგრძელებდა და 14 მეტრის სიღრმეზე ჩაეშვა წყალში. მისი თოკისგან სრულად განთავისუფლებას მყვინთავებმა 10 წუთი მოანდომეს.

ზვიგენმა მაშინვე გაცურა, მაგრამ მალევე უკან მობრუნდა.

— რამდენიმე წამში ის ისევ გამოჩნდა და ჩვენთან ახლოს მოცურდა, თითქოსდა ჩვენთვის მადლობის გადახდა სურდა, — განაცხადა მიზუმეჩიმ, — ეს ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი მომენტი იყო და ჩვენ მას არასოდეს დავივიწყებთ.



# მამაკაცმა ჯეკპოტი მოხსნა და მაშინვე ყოფილ ცოლს დაურეკა




ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ კენტვუდის მცხოვრებმა ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა და მაშინვე ყოფილ მეუღლეს დაურეკა, რათა მოგების შესახებ ეცნობებინა.

74 წლის ჯეიმს ბრუნომ ლატარიის ბილეთი კენტვუდის ერთ-ერთ მაღაზიაში შეიძინა. გათამაშების შემდეგ კი ლატარიის გათამაშების ცხელ ხაზზე დარეკა და ამოსული ციფრები თავის ბილეთზე აღნიშნულს შეადარა. აღმოჩნდა, რომ ის ლატარიის ოთხი გამარჯვებულიდან ერთ-ერთი იყო, რომელთაც ჯეკპოტი 379,8 ათასი დოლარი მოხსნეს. გამარჯვებულებს შორის თანხის თანაბრად განაწილების შემდეგ ბრუნოს მოგებამ 94,9 ათასი დოლარი შეადგინა.

როგორც კი მოგება დადასტურდა, მამაკაცმა მაშინვე ყოფილ ცოლს დაურეკა. მას ამით მისი გაღიზიანება არც კი უფიქრია, უბრალოდ, მისთვის საკუთარი სიხარულის გაზიარება სურდა. მისი განმარტებით, მიუხედავად დაშორებისა, ყოფილი მეუღლეები ახლო მეგობრებად რჩებიან. ამის შემდეგ ის შვილებსაც დაუკავშირდა და სასიხარულო ახალი ამბავი გაუზიარა.

მოგებული ფულით ის ალასკაზე შვილის მოსანახულებლად გამგზავრებას გეგმავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# პაატა ბურჭულაძე 65 წლის გახდა



ოპერის მომღერალი პაატა ბურჭულაძე 65 წლის გახდა.

ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ფონდ „იავნანას“ სალონში მიხეილ და ლიზა რამიშვილებმა სალონური საღამო გამართეს, სადაც ოთარ რამიშვილის სიმღერები აჟღერდა.

პაატა ბურჭულაძის იუბილეს გამოეხმაურა „იავნანას“ ხელმძღვანელი თეონა ჯორბენაძე:

— პაატას 65 წელი შეუსრულდა...

უკიდურესად სამარცხვინოა, რომ უცხოელი მეგობრები და კოლეგები უმზადებენ მას სიურპრიზებს და ფიქრობენ, როგორ გაახარონ და მის სამშობლოში ამ დროს როგორ მოექცნენ.

# ჟანრი ლოლაშვილი თავის ნახატებს გამოფენს




რუსთაველის თეატრის მსახიობი ჟანრი ლოლაშვილი 14 თებერვალს თავისი ნახატების გამოფენას მოაწყობს.

ხელოვანის პერსონალურ გამოფენას „არტ გალერეა“ უმასპინძლებს. „სხვა ჟანრი“ — ასე ეწოდება ექსპოზიციას, რომელიც მსახიობისა და მხატვრის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებულ ნამუშევრებს აერთიანებს.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების უმეტესობას დამთვალიერებელი პირველად იხილავს.

— მხატვრობაში მე ვარ რეჟისორიც, დრამატურგიც, სცენოგრაფიც და მსახიობიც. ეს განცდა, ეს ემოცია გაძლევს უფლებას, უფრო მეტად თავისუფალი იყო. აქ ყველაფერი გამოგონილია, უფრო ილუზიური სამყაროა. საერთოდაც, რაც უფრო გადიხარ შემოქმედებით სინამდვილისგან, მით უკეთესია, — ამბობს ჟანრი ლოლაშვილი,

საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ადამიანიისტორიის ევროპული ორდენის კავალერი, სხვა უამრავი ჯილდოსა და წოდების მფლობელი ხელოვანი არ მალავს, რომ მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო მაყურებლის სითბო და სიყვარულია.



# სოფი სააკაშვილი თურქული „ვოისის“ ნახევარფინალისტია

ქართველი მომღერალი სოფი სააკაშვილი თურქული „ვოისის“ ნახევარფინალისტებს შორის მოხვდა.

მომღერალი, რომელმაც ყველა ეტაპი წარმატებით გაიარა, ფინალისტებს შორის ადგილის დამკვიდრებისთვის იბრძოლებს.

14 თებერვალს პირდაპირ ეთერში გაიმართება პროექტის ნახევარფინალი, სადაც ფინალისტები უკვე ხალხის მიერ მიცემული ხმებით გამოვლინდება. ამიტომ ეს დღე ქართველი მომღერლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. სოფის იმედი აქვს, რომ თურქეთში მყოფი ქართველი ემიგრანტები მას ხმა მისცემენ და თურქული „ვოისის“ ფინალში მოხვედრის შანსს მისცემენ.

შოუს ნახევარფინალი თურქული ტელევიზიის პირდაპირ ეთერში გავა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**


# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ბელარუსი შეკრებაზეა და საკონტროლო მატჩებს გამართავს

მარტის თვე მნიშვნელოვანი რომ არის საქართველოს საფეხბურთო ნაკრებისთვის, ამაზე ბევრს აღარ ვილაპარაკებთ. 26 მარტს „დინამო არენაზე“ ჩვენი ეროვნული გუნდისა და ბელარუსის ნაკრების დაპირისპირებაში გაირკვევა იმ გუნდის ვინაობა, რომელიც ერთა ლიგის დ დივიზიონის ფინალში ევრო 2020-ის საგზურისთვის ითამაშებს. თუ ვლადიმირ ვაისის გაწვრთნილი გუნდი ბელარუსს დაამარცხებს, მაშინ თბილისშივე დავუხვდებით ჩრდილოეთ მაკედონიასა და კოსოვოს შორის უმჯობესს.

ნაკრების სამწვრთნელო შტაბი თურქეთში ქართველი ლეგიონერების მატჩებზე დასასწრებად იმყოფებოდა. ვლადიმირ ვაისი სამწვრთნელო შტაბის წევრებთან და ფეხბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტ ალექსანდრე იაშვილთან ერთად ანტალიის რეგიონში ჩავიდა.

ვაისი იმ ქართველი ფეხბურთელების მატჩების სანახავად იმყოფებოდა, რომლებიც საწვრთნელ შეკრებას თურქეთში გადიან. ზამთრის შესვენების პერიოდში საკუთარ კლუბებთან ერთად ანტალიის რეგიონში იმყოფებიან ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი, დავით ხოჭოლავა, ელგუჯა ლობჯანიძე, ზურიკო დავითაშვილი, ხვიჩა კვარაცხელია, ლაშა პარუნაშვილი და გია გრიგალავა. მატჩებზე დასწრების გარდა, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელს კომუნიკაცია ჰქონდა ქართველ ლეგიონერთა კლუბების სამწვრთნელო შტაბებთან.

თურქეთში ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ ეტაპს გადის საქართველოს ჩემპიონი თბილისის დინამო, რომელსაც აგრეთვე სტუმრობდა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

თურქეთში ჩასვლამდე ვლადიმირ ვაისი კვიპროსში ანორთოსისის მატჩსაც დაესწრო, სადაც 5 ქართველი ფეხბურთელი გიორგი ლორია, მურთაზ დაუშვილი, თორნიკე ოქრიაშვილი, ნიკა კაჭარავა და ჯანო ანანიძე ირიცხება. თურქეთის შემდეგ ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბი ევროპაში მოთამაშე სხვადასხვა ლეგიონერის მატჩებზე დასწრებას გეგმავს.

ერთადერთი მინუსი ის არის, რომ ჩვენი ნაკრების კანდიდატები ძირითადად უცხოეთში თამაშობენ, ამიტომ საკონტროლო შეხვედრის ჩატარებას ვერ ახერხებენ. ჩვენგან განსხვავებით უკეთესად აქვს საქმე ბელარუსს, რადგან ნაკრების ფეხბურთელების უმრავლესობა ქვეყნის ჩემპიონატში თამაშობს, ბელარუსის პრემიერლიგაში კი პაუზაა და შეჯიბრება გაზაფხულამდე არ განახლდება. მოთამაშეების ფორმაში შესაყვანად მიხეილ მარხელმა გუნდის მომზადება ერთა ლიგის ნახევარფინალამდე 1,5 თვით ადრე დაიწყო.

ბელარუსი 19 თებერვლიდან არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში იწყებს შეკრებას. ჩვენს მეტოქეს 2 ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი. პირველი მეტოქე უზბეკეთის ეროვნული ნაკრები იქნება, რომელსაც ქალაქ სარაჯაში დაუპირისპირდებიან. 24 თებერვალს ბელარუსები ბულგარეთს ესტუმრებიან, 26-ში კი სოფიაში ადგილობრივ ნაკრებს დაუპირისპირდებიან.



როგორი გუნდია ბელარუსი: მათი ყველაზე დიდი პლუსი არის ფიზიკური მომზადება. გუნდი ძირითადად 4-2-3-1 სქემით თამაშობს, მაგრამ გასულ შესარჩევ ეტაპზე რამდენჯერმე შეცვალა. მაგალითად, გერმანიასთან შინ 5-3-2 სქემით ითამაშა, ხოლო ჰოლანდიასთან 4-1-4-1. გერმანიასთან სტუმრად 4-4-2, მაგრამ, თამაშიდან გამომდინარე, უფრო 4-6-0-ს ჰგავდა, რადგან ნომინალური ფორვარდის გარეშე იყო მოედანზე.

სამაგიეროდ, ბელარუსები ძალიან კარგად აპრესინგებენ. ასე ითამაშეს ჰოლანდიაში. ჯგუფური პრესინგით რამდენიმე ფეხბურთელი მიდის მეტოქესთან და უკრავენ წრეს. ასეთ შემთხვევაში თავის დაძვრენა რთულია, მაგრამ „გამოძრომის“ შემთხვევაში ველარ ასწრებენ შემდეგ გადაწყობას.

ასევე თვალშისაცემია, რომ უტევდნენ აქტიურად. თითქმის მთელი გუნდით. ასე მოხდა მოლდოვასთან, ესტონეთთან, ლუქსემბურგთან, სან-მარინოსთან... ეშმაკურად იხსნებიან მცველების უკან.

საკმაოდ შეთამაშებული და მძიმე გუნდია...

ვნახოთ, ვინ გამოიძახა მიხეილ მარხელმა შეკრებაზე:

**მეკარეები**: ალექსანდრ გუტორი (შახტიორი), პაველ პავლიუჩენკო (დინამო ბრ), მაქსიმ პლოტნიკოვი (დინამო მნ);

**მცველები**: სერგეი პოლიტევიჩი, სერგეი მატვეიჩიკი, იგორ ბურკო (ყველა შახტიორი), ალექსანდრ პავლოვეცი, კირილ პეჩენინი (ორივე დინამო ბრ), მაქსიმ შვეცოვი (დინამო მნ);

**ნახევარდაცვა**: სტანისლავ დრაგუნი, იგორ სტასევიჩი, პაველ ნიხაიჩიკი, ევგენი იაბლონსკი (ყველა ბატე), მიხაილ გორდეიჩუკი, რომან იუზეპჩუკი, ევგენი შევჩენკო (ორივე დინამო ბრ), ნიკიტა კორზუნი (ვილაფრანკენეშე, პორტუგალია), იური კენდიში, დმიტრი პოდსტრელოვი (ორივე შახტიორი), ივან ბახარი, ვლადისლავ კლიმოვიჩი (დინამო მნ);

**თავდასხმა**: დენის ლაპტევი, ვსევოლოდ სადოვსკი (დინამო ბრ), მაქსიმ სკავიში (ბატე), ვიტალი ლისაკოვიჩი (შახტიორი).

# შვეიცარია და სერბეთი საქართველოსთვის დაირაზმნენ



ევრობასკეტ 2021-ის საკვალიფიკაციო ტურნირში საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველი მეტოქე შვეიცარიაა. შეხვედრა 20 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში, გაიმართება. შვეიცარია შორსაა ევროპის წამყვან საკალათბურთო ქვეყნებთან, თუმცა, მებრძოლი ნაკრები რომ ჰყავს, საკვალიფიკაციო ტურნირზე მოსახვედრ წინასაკვალიფიკაციოში დაამტკიცა, როცა ბოლო ტურში ისლანდიასთან მინიმუმ 20 ქულით მოგება სჭირდებოდა და 109:85 გაიმარჯვა.

შვეიცარიის იტალიელმა მწვრთნელმა ჯანლუკა ბარილარიმ ნაკრების 16 კანდიდატი დაასახელა, რომელთაგანაც 3 ლეგიონერია: პატრიკ ბალდასერი იტალიის რიგით მე-2 ლიგაში თამაშობს, რობერტო კოვაჩი – ისლანდიაში, ხოლო ჯონათან კაზადი – ფრანგულ ლილში. დანარჩენები შვეიცარიის კლუბებს წარმოადგენენ.

მაიკლ-ოფიკ ნზეგე (ლუგანო), პატრიკ ბალდასერი (ფერარა, იტალია), ბორის მბალა, ჟერემი ჟონინი, პოლ გრავე, ნათან იურკოვიცი (ყველა ფრიბურგი), ჯონათან კაზადი (ლილი, საფრანგეთი), მარკო მლადიანი, დუშან მლადიანი (ორივე სპინელი), იურაი კოზიჩი (ბონკურტი), რობერტო კოვაჩი (ირ ბასკეტი, ისლანდია), იური სოლკა (რივიერა), ჯონათან დუბასი, არნო კოტური, რობერტ ზინი (ყველა ჟენევა), კილიან მარტინი (უნიონი).

შვეიცარიის შემდეგ ილიას ზუროსის გუნდი 23 თებერვალს სერბეთის ნაკრებს ესტუმრება.

სერბეთის ეროვნულ ნაკრებს ჩვენთვის კარგად ნაცნობი იგორ კოკოშკოვი ხელმძღვანელობს. მისი განაცხადი კი ჩვენ წინააღმდეგ ასე გამოიყურება:

მილოშ ტეოდოშიჩი (ვირტუსი, იტალია), მიროსლავ რადულიცა (დრაგონსი, ჩინეთი), ნიკოლა რებიჩი (ენისეი, რუსეთი), დეიან ტოდოროვიჩი (ანდორა, ესპანეთი), ალექსა ავრამოვიჩი (ესტუდიანტესი, ესპანეთი), მარკო სიმონოვიჩი (ცედევიტა, სლოვენია), დეიან კრავიჩი (ობრადარიო, ესპანეთი), დალიბორ ილიჩი (იგოკეა, ბოსნია), ოგნიენ იარამაზი, უროშ ტრიფუნოვიჩი, რადე ზაგორაცი, ნოვიცა ველიჩკოვიჩი (ყველა პარტიზანი), ალექსა რადანოვი, სტეფან ჯორჯევიჩი (ორივე რაბოტნიჩკი), ოგნიენ დობრიჩი (ცრვენა ზვეზდა).

# ცეცაძემ საბურთალო სეზონის დაწყებამდე დატოვა



თბილისის საბურთალო ესპანურ შეკრებაზე იმყოფება. პირინეის ნახევარკუნძულზე გუნდი მოსამზადებლად ახალმა მწვრთნელმა გია ცეცაძემ ჩაიყვანა, მაგრამ გუნდი ახლა უმწვრთნელოდ არის. კლუბის ვებგვერდზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ 8 იანვარს დანიშნულმა ცეცაძემ გუნდი დატოვა.

– საფეხბურთო კლუბ საბურთალოსა და უკვე ყოფილ მთავარ მწვრთნელ გია ცეცაძეს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე კონტრაქტი შეწყდა. ჩვენი კლუბი მადლობას უხდის გია ცეცაძეს გაწეული შრომისთვის და მომავალში წარმატებებს უსურვებს!

ვინ იქნება მომავალში საბურთალოს მთავარი მწვრთნელი, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

ცეცაძის წასვლას წინ უძღოდა მოარული ხმები: ჯერ იყო და გავრცელდა ინფორმაცია, რომ საბურთალოს ერთ-ერთი ახალწვეული 10-ნომრიან მაისურს ითხოვდა, რომელიც გიორგი კოხრეიძის საკუთრებაა. შემდეგ იყო საუბარი გაგი მარგველაშვილისთვის კაპიტნის სამკლავურის ჩამორთმევაზე, რომელიც იმავე ახალწვეულის მოთხოვნა იყო, რასაც წინ აღუდგა მთელი გუნდი.

მოკლედ, ცეცაძემ გუნდში სიტუაცია ვერ დაალაგა, ამის გამო ესპანეთში ჩაფრენა მოუწია კლუბის პრეზიდენტ ტარიელ ხეჩიკაშვილს. როგორც ჩანს, სიტუაცია ვერ დალაგდა და ახალდანიშნულ მწვრთნელსაც გუნდთან გამოთხოვება მოუხდა, თუმცა მოარული ხმებით ეს დამშვიდობებაც უკონფლიქტოდ არ მომხდარა.

წამოსვლის წინ საბურთალომ 3:1 დაამარცხა ესპანური ალკოიანო. გოლები ზემოთ ნახსენებმა კოხრეიძემ და მარგველაშვილმა გაიტანეს, კიდევ ერთი გოლი გურამ გოშთელიანის ანგარიშზეა.

# ოლიმპიადაზე საფეხბურთო ვარსკვლავებს ვნახავთ

ოლიმპიადა რანგით მე-3 საფეხბურთო ტურნირია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შემდეგ, რადგან ძირითადად 23 წლამდე ფეხბურთელები თამაშობენ. წლევანდელი ტოკიოს ოლიმპიადა კი გამონაკლისი იქნება, რადგან რამდენიმე ვარსკვლავს ვიხილავთ.

გერმანიის ნაკრების თავკაცმა იოახიმ ლიოვმა თომას მიულერისა და მატს ჰუმელსის შესახებ თქვა, ასე კარგად თამაშს თუ გააგრძელებენ, ნაკრებში ევროპის ჩემპიონატისთვის დავაბრუნებო, მაგრამ მიულერმა ეს იუკადრისა და აპირებს, ტოკიოში ოლიმპიურ ნაკრებს გაჰყვეს. სავარაუდოდ, ჰუმელსიც ასე მოიქცევა. მოგეხსენებათ, თითოეულ გუნდს უფლება აქვს, 23 წელს ზემოთ 3 ფეხბურთელი დაიმატოს.

მიუხედავად ევროპის ჩემპიონატისა, ოლიმპიადაზე თამაშის დიდი სურვილი სერხიო რამოსსაც აქვს. ესპანელი ფეხბურთელი დასვენების დღეებს იკლებს, რათა მისი კოლექცია კიდევ ერთი დიდი ტიტულით გაამდიდროს.

ადრე სალაჰმაც თქვა, რომ ოლიმპიადაზე თამაში სურს. მის პატრიოტიზმში ეჭვი არავის ეპარება და გადაწყვეტილებაც მხოლოდ მისი მისაღებია.

საუბარი სხვა ვარსკვლავებზეცა... მოკლედ, ზაფხულში ფეხბურთის გარეშე არ დავრჩებით.

## შედეგები

12 თებერვალი

ფეხბურთი

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ბილბაო-გრანადა ........................ 1:0

**იტალია. თასი**

ინტერი-ნაპოლი ........................ 0:1

**საფრანგეთი. თასი**

დიჟონი-პსჟ ........................ 1:6

ლიონი-მარსელი ........................ 1:0

**ნიდერლანდები. თასი**

ალკმაარი-ბრედა ........................ 1:3

ვიტესი-აიაქსი ........................ 0:3

**პორტუგალია. თასი**

პორტუ-ვიზეუ ........................ 3:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმანროკი-რეინჯერსი ........................ 2:1

ლივინგსტონი-სტ.მირენი ........................ 2:1

სელტიკი-ჰართსი ........................ 5:0

სტ.ჯონსონი-მოზერველი ........................ 2:1

ჰიბერნიანი-როსი ........................ 3:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

ბევერენი-კორტრაიკი ........................ 1:2

სტანდარდი-ბრიუგე ........................ 0:0

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 2020 წლის 10 თებერვალს გარდაიცვალა ეროვნული აკადემიის სწავლული მდივანი, აკადემიკოსი

**გივი ფიჩხნარაშვილი**

დაკრძალვა: შაბათს, 15 თებერვალს, 13 საათზე, გორის რაიონის სოფელ არბოში.

აკადემიის პრეზიდიუმი სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ამერიკული ზებგერითი სადაზვერვო თვითმფრინავების სერია; 2. ლუდის დასაყენებელი ჭურჭელი ფშავ-ხევსურეთში; 3. შაქრის ლერწმისგან დამზადებული სპირტიანი სასმელი; 5. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 6. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 7. ინდოეთის ოკეანისპირა კურორტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 11. შენიშვნა-განმარტება ნაბეჭდ ტექსტში; 13. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 14. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 15. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 16. ძველი დროის, შორეული წარსულის ნივთი, ორგანიზმი, გადმონაშთი; 17. პორტუგალიური ღვინო; 19. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 20. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია.

**თარაზულად**: 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 4. დაბალი ხის მაგიდა; 8. ბნელი, უმთვარო ღამე; 9. დამრიგებელი, სულიერი მოძღვარი ინდოეთში; 10. დუმფარასნაირი წყლის ყვავილოვანი მცენარე; 12. ელექტრონიკაში გამოყენებული მკვრივი საიზოლაციო მასალა; 14. ინდონეზიის კუნძული, პოპულარული საკურორტო ზონა; 15. თეორიული მექანიკის ნაწილი; 16. სილვესტერ სტალონეს კინოპერსონაჟი; 18. მოქანდაკის ხის საჭრისი; 21. ყოველდღიური გაზეთი თურქეთში; 22. კიდულ ლიანდაგზე მოძრავი ტვირთის ასაწევი მოწყობილობა; 23. აჭარული ხის სახლი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კოროზია; 2. სტეინიცი; 3. ფრიდონი; 5. ნორვეგია; 7. ანკლავი; 9. ჰიპოლოგია; 13. მარტინი; 15. ოკენცე; 16. ბაწარა; 18. ურეკი.

**თარაზულად:** 4. პოლონეზი; 6. მსტოვარი; 8. კონტრაგენტი; 10. ფალაური; 11. პინო; 12. ქვევრი; 14. ვოლგა; 17. ლორია; 19. უელსი; 20. ტალახაძე; 21. ალტი; 22. ვერნისაჟი; 23. ცისკარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფრესკო; 2. ტორფი; 3. ლოტი; 5. პილონი; 6. დრამი; 7. ფოფოდია; 11. ტოშიბა; 13. გეიზერი; 14. გიუმი; 15. მოდრიჩი; 16. ოკლენდი; 17. მაჭარი; 19. ალაფი; 20. ქისი.

**თარაზულად:** 1. ფუტზალი; 4. სტეპი; 8. ტროპი; 9. ლემა; 10. სოფიტი; 12. ლონდონი; 14. გოია; 15. მამისონი; 16. ოპუსი; 18. გურია; 21. ჭონია; 22. დროსელი; 23. ფერმერი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


14 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8741

ევრო — 3.1270

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7314

100 რუსული რუბლი — 4.5363

## ამინდის პროგნოზი 14 თებერვლისთვის








## 11 თებერვლიდან

კორნელი ბოროზდინი

# სამეგრელო და სვანეთი

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი


## ლადო გუდიაშვილის ორიგინალი ნამუშევრები რესტორანშია გამოფენილი?




ინფორმაცია ამის შესახებ ჟურნალისტმა ნინო მიქიაშვილმა გაავრცელა:

— თუ ვინმე ნამყოფი ხართ ან აპირებთ მისვლას, გთხოვთ, პატივი დამდოთ და იკითხოთ, ლადო გუდიაშვილის ნახატების ორიგინალთან ერთად ხდება ჭამა-სმა და დროსტარება თუ კედელზე გამოკიდებული ნახატები ასლებია და არა ორიგინალი?!

და კიდევ, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმიდან თითქმის მთლიანად წაიღეს ლადო გუდიაშვილის ნამუშევრები მისივე სახლ-მუზეუმში, იქვე, გუდიაშვილის ქუჩაზე. საინტერესოა, რესტორან „ლადონინაში" კედლებზე დაკიდებული ნახატები ვისი საკუთრებაა — გუდიაშვილის სახლ-მუზეუმისა თუ ხელოვნების მუზეუმის?!

დღეში ათჯერ მხვდება თვალში რესტორან „ლადონინას" რეკლამა. ყოფილი ხელისუფლების დროს ფიროსმანის ნახატებთან ერთად როგორი ღრეობა გამართეს, ეს, ალბათ, გახსოვთ და ახლა გუდიაშვილს მიადგნენ თუ როგორაა საქმე?!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი

მოხუცი ექიმს ეუბნება:

— ექიმო, უცნაური დაავადება მჭირს! ერთს მაგრად რომ გავაკუებ, არც ხმა მესმის და ვერც სუნს ვგრძნობ, რა მეშველება?

ექიმმა მოხუცი გასინჯა, წამალი გამოუწერა და ერთი კვირის შემდეგ დაიბარა. ერთი კვირის შემდეგ მისული მოხუცი ექიმს ეუბნება:

— ექიმო, ეს რა გამიკეთეთ, ხმა კვლავაც არ ისმის, მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთი მყრალი სუნი დგება...

— ასეე, ყნოსვა აღგიდგინე, ახლა სმენას მივხედავთ!

●●●

მოხუცი ქალი რეკავს:

— ალო, პოლიციაა?! დამეხმარეთ, მძარცვავენ!

— სად იმყოფებით?

— სახლში! და კომუნალური მომსახურების ქვითრებს ვეცნობი...

●●●

ქალი კაცს ეუბნება:

— ჩემო ცუგა, მოფერებით რამე დამიძახე რა...

— ჩემო ჩიტუნიავ!

— ჩიტუნია, რატომ?

— ჩემს კვერცხებზე ზიხარ...

●●●

ქალი კაცს ეუბნება:

— ძვირფასო, გუშინ ექიმთან ვიყავი და მითხრა, რომ ბავშვი გვეყოლება!

— ჰოო, რას ვფიქრობ, იცი, ნეტა ავტოსერვისში რომ მივიდე, მანქანა მეყოლება?

●●●

ქალი ტელეფონზე რეკავს და მამაკაცს ეუბნება:

— ჩემი ქმარი ორი კვირითაა წასული და მოდი... ოჰ, მაპატიეთ, ნომერი შემეშალა...

— არა უშავს, მისამართი მიკარნახეთ!

## პსჟ მბაპეს შენარჩუნებას ცდილობს



პსჟ ცდილობს კილიან მბაპეს შენარჩუნებას და პარიზელები მზად არიან, მას ხელფასი გაუზარდონ. ამჟამად მბაპე წელიწადში 15 მილიონს იღებს და, თუ ახალ კონტრაქტზე დასთანხმდება, მისი ანაზღაურება 30 მილიონამდე გაიზრდება და ნეიმარისას გაუთანაბრდება.

მბაპეს წასვლის შესახებ ჭორები მას შემდეგ გავრცელდა, რაც მას პსჟ-ს მთავარ მწვრთნელ ტომას ტუხელთან მცირე კონფლიქტი მოუვიდა.

მბაპეს შეძენა ყველაზე მეტად მადრიდის რეალს სურს და ზინედინ ზიდანი არ მალავს, რომ ახალგაზრდა ფრანგი ფორვარდი მის გუნდს ძალიან გააძლიერებს.

## კიკე სეტიენი: „ჩვენი მიზანი ყველა ტიტულის მოგებაა"



ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა კიკე სეტიენმა გუნდის მიზნებზე ისაუბრა და თქვა, რომ ბარსელონას ყველა ტურნირში მხოლოდ გამარჯვება სურს და სხვა შედეგი დამაკმაყოფილებელი არ იქნება:

— ჩვენ ბარსელონა ვართ და მეორე ადგილზე ფიქრიც კი არ შეიძლება. ჩვენი მიზანი ყველა ტურნირის მოგებაა და სხვანაირად არც შეიძლება იყოს. თუ ამ მიზანს ვერ მივაღწიეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სეზონი ბოლომდე წარმატებული არ იქნება.

კიკე სეტიენი ბარსელონას სათავეში ერთი თვის წინ ჩაუდგა, როდესაც ერნესტო ვალვერდე გაათავისუფლეს.

## ჯეიდენ სანჩო კარიერას მანჩესტერ იუნაიტედში გააგრძელებს



დორტმუნდის ბორუსიის ახალგაზრდა ინგლისელი ვარსკვლავი ჯეიდენ სანჩო, სავარაუდოდ, სამშობლოში დაბრუნდება და კარიერას მანჩესტერ იუნაიტედში გააგრძელებს.

მანჩესტერი მზად არის, ამ ტრანსფერში 100 მილიონი გადაიხადოს და ბორუსია ამ თანხაზე უარს არ იტყვის.

სანჩო ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება და მისი შეძენა სხვა გრანდებსაც სურდათ.

## ნეიმარმა, შესაძლოა, ბორუსიასთან პირველი მატჩი გამოტოვოს

პსჟ-ს ფორვარდმა ნეიმარმა, შესაძლოა, ბორუსიასთან პირველი შეხვედრა გამოტოვოს, რომელიც დორტმუნდში 18 თებერვალს გაიმართება.

ნეიმარს მცირე ტრავმა აწუხებს და უკვე გამოტოვა ერთი შეხვედრა ამ მიზეზის გამო.

პსჟ-ს მწვრთნელმა ტომას ტუხელმა განაცხადა რომ ზუსტად არ იცის, ითამაშებს თუ არა ნეიმარი ბორუსიასთან შეხვედრაში:

— ჯერჯერობით ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, თუმცა, რა თქმა უნდა, მინდა, რომ ნეიმარი მოედანზე იყოს, რადგან ის ჩვენი ერთ-ერთი ლიდერია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## მოჭიდავეებმა მონაგარს ვერცხლი და ბრინჯაო შემატეს



იტალიის დედაქალაქ რომში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ასპარეზობა 4 მედლით დაასრულა.

72 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე იური ლომაძე ვერცხლს დასჯერდა. ქართველი ფალავანი რომის ხალიჩაზე შესაშურად გაისარჯა და ფინალში გავიდა, სადაც გერმანელ ფრანკ სტებლერს დაეჭიდა.

ფინალურ შეხვედრაში პირველი ქულა იურიმ მიითვალა, თუმცა შემდეგ უპირატესობას გერმანელი დაეუფლა. საბოლოოდ, ქართველი 2:6 დამარცხდა.

ლომაძემ ფინალამდე ბელარუს იური კანკუსა და ხორვატ დომინიკ ეტლინგერს 11:0 აჯობა, ნახევარფინალში კი თურქ სელჩუკ ჯანს გაეჯიბრა, რომელთანაც ასევე არ გასჭირვებია — 7:0.

60 კგ წონით კატეგორიაში ამირან შავაძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ქართველი მოჭიდავე მე-3 ადგილისთვის შეხვედრაში რუს ჟამბოლატ ლოკიაევს დაუპირისპირდა და უმძიმეს ბრძოლაში მოიგო.

ამირანმა შეხვედრა ძალზე აქტიურად დაიწყო და ჯერ 4-ქულიანი, შემდეგ კი 2-ქულიანი გდება შეასრულა და 6:0 დაწინაურდა. დარჩენილ დროში რუსმა ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ უფრო მაღალქულიანი ილეთის წყალობით ბრინჯაოს მედალი ქართველს დარჩა. ნიშანდობლივია, რომ ამირან შავაძე საქართველოს ნაკრების დებიუტანტი გახლდათ.

ბრინჯაოს შეხვედრამდე ამირანმა შვეიცარიელი დიმიტარ სანდოვი და ფინელი ალექსი ლატვალა 8:0 დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში თურქ კერემ ქამალთან დამარცხდა.

შეგახსენებთ, ამავე პირველობაზე ლევან არაბულმა (130 კგ) — ვერცხლის, ხოლო ნუგზარ წურწუმიამ (55კგ) ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

ამრიგად, საქართველოს ბერძნულ-რომაულ მოჭიდავეთა ნაკრებმა ევროპის 2020 წლის ჩემპიონატზე გამოსვლა ოქროს მედლის გარეშე დაასრულა, მაგრამ 4 მედალი (2 ვერცხლი და 2 ბრინჯაო) მოიპოვა. აქვე გეტყვით, რომ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საქართველომ 82 ქულა დააგროვა და მე-5 ადგილი დაიკავა. ჩვენი გუნდი რუსეთის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და სომხეთის ნაკრებებს ჩამორჩა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## ასტროპროგნოზი

### 14 თებერვლისთვის



**ვერძი** — ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** — ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** — მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** — თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** — შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** — ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** — იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** — დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** — თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** — კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** — გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** — სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. საყვარლის კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი; 2. ბილიარდის თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 3. ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის" პროზაულად მთარგმნელი; 5. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 7. ისრაელის პარლამენტი; 9. „ფორმულა-1"-ში მოასპარეზე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 13. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 15. ქართული ლუდი; 16. სამურაების მეთაური; 18. სასვენი ნიშანი გრამატიკაში.

**თარაზულად**: 4. ნიჩბოსანთა სავარჯიშო ნავი; 6. წარწერა საფლავის ქვაზე; 8. საზღვაო გადაზიდვების პირობების შემცველი დოკუმენტი; 10. ლუდის, ღვინის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 11. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 12. განუხორციელებელი ოცნება; 14. ქართული ტელეკომპანია; 17. ბაღ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 19. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 20. უბანი თბილისში; 21. კანადელ ესკიმოსთა ყინულის ქოხი; 22. ზემდგომი ორგანოების სახელმძღვანელო მითითება, რომლის შესრულება სავალდებულოა; 23. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

